# ცისკარი

1858

ნოემბერი: წიგნი მეთერთმეტე.

ტფილისი.

კანცელარიის ტიპოგრაფიაში.

ლექსები:

ჩემს დას ეფ... . . . ტ. გ. ორბელიანისა.

მწირი. . . . . . ჯოლხიძელისა.

შაშვი. . . . . . ტ. ალ ჩიქოვანისა.

რტო პალესტინისა. . . ს. ლი.
სვანეთის ალებასა-ზედა

კნიაზსს გ. ერ. . . . ანდ. ჯასრაძისა.

პროზა:

უსარგებლო ცბიერება. . ტ. დ. ციციშვილისა.

ჰსწავლა და ჴელოვნება:

დაფლვისა სიტყვა. . . ა. ტ.

(სხუა და სხუა ამბავი ნახ. მეორე გვერდზედ.)

# ცისკარი.

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი.

---

მომავალს 1859 წელს, ჩვენი „ცისკარი" გადადგება მესამეს წელიწადში. პატივცემულნი მკითხველნი უკვეთ ხედვენ ამ ჟურნალის ღირსებასა თუ ნაკლულევანებასა. ნაკლულევანებითი არა ვგონებთ დაიმძრახოს ჯერეთ ორის წლის უასაკო ნაყოფი. მივხედოთ სხვათა ენის ჟურნალთა დაწყებასა და ისე განვსაჯოთ. ჩვენის მხრით აქამომდე არა ვითარი ღონის-ძიება არ დაგვიზოგავს წარმატებისათვის და განშვენებისათვის. მხოლოდ უკვეთუ ზოგიერთში კმაყოფილი არა ბძანებულან მკითხველნი, ამის მიზეზად არა ერთი ოდენ ჩვენა ვხლოებივართ. ღონის-ძიება ყოველსავე შეუძლებელს საქმეს დაჰს-ცემს და დარღვევს. წარსულის წლიითგან,

როგორც უწყიან მკითხველთა, მოველით დღე და დღე ოთხგვარს ახალს ასოებს, რომლითაც იმედი გვაქჳს მივიღოთ უეჭველად ამ წელიწადს და, რომლითაც დავიწყობთ ბეჭვდას მომავალის წლითგან. უკეთუ ვერ მივიღეთ, განსარინებელად მის, რომ არ დავრჩეთ საყვედურსა ქჳშე მკითხველთა, ვეცდებით არ დავვრჩნეთ უმადურად და ვბეჭდავთ ამ ასოებით, რა ასოებითაც არის დაბეჭდილი ესე განცხადება. განვრცელებით და ქაღალდით ლაპარაკს მკითხველთან, ვსახავთ მომატებულად, — თჳთან ჰხედვენ ჟურნალითგან, თუ ვითარნი თანამშრომელნი მოგვემატნენ და ვითარნი თხზულებანი იბეჭდებიან? მხოლოდ თქჳნ, სამშობლოს ენის მოყვარენო ქართველნო, თქჳნზედ არის დამოკიდებული ყოველივე იმედი; თქჳნზედ არის დაფუძნებული »ც ი ს კ ა რ ი ს« წარმატებაც და ნაკლულევანებაც. განვლოს ძველითი საუკუნეთა, რომელის დროშიაც თჳთოეული საგანი მოითხოვდა განმარტებასა. ეს ის საუკუნეა, რომელიცა არ მოითხოვს არა ვითარსა ჩაგონებასა. — თჳთ უკეთ უწყით, მაშასადამე თჳთ უკეთ გესმისთ საყვარელნო მკითხველნო, სარგებლობა სამშობლოს

ლიტერატურასი! მომატებულად თავს ვერ განწყენთ. ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ ერთობ, საზოგადოდ, საზოგადოს საქმეს.

ფასი დარჩების იგივე შვდი მანეთი. ფული მოსწერდება კუკიას, ყ. დ. ზერიევის სახლში.

რედ. ი. კერესელიძე.

---

## ჩემს დას ევ......

---

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ,
ლხენად გლახაკულის უდროოდა მწარ-დამჭკნარისა,
დაო სასურველო! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
და განმასხვენე ქვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!
ცხოვრების ბნელს გზას, შენ მინათე შვების კარს-
კვლავთ!
შენის ღიმილით შეჭმუხვნილი სახე მინათლე;
შენი ალერსი, მშვდი, წყნარი მიხარის შორით
და გულს დაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე.

სიცოცხლე ჩემი ძლივს გაშლილა სასიხარულოდ;
ძლივს დილა ჩემი მზისა ნათლით განბრწყინებული,
მაჩვენებდენ მე ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ
და ახლად დამწარს აღმინთებდა გულს სიყვარული.

რომლისა სხივნი თვით ეკალთა შეჰქმნიდნენ ვარდად,
რომლით აღვსილი არა ვჰსცნობდი ჭმუნვისა ცრე-
მლთა,
მეგობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად,
და სიამით ვუმზერდიცა დღეთ მომავალთა!
აწ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,
რომელ აჩრდილიც არღა დაჰშთა ჩემად ნუგეშად?
რომ გლახ ჩემსა გულს მოსეულნი ჭმუნვათა
დასნი
ესრეთა ჰგლეჯენ უდროო მსხვერპლს შეუბრალებლად?

უცებ გრიგალმან უბედობის დამქროლა ესრეთ,
რომ ცა მომფენი ჩემდა ნათლის, ჰფარა ღრუბელ
ქვეშ;
სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მას წყეულთა ფრთეთ,
და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ უნქვეშ!
სადაც ოხვრანი აღმოსრულნი გულისა სიღრმით
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის;
სადაცა ჰსწვავდნენ, ვითა ცეცხლი, დაწვით ცრემლნი
დენით,
და მათ არ ჰსწყვეტდა არავისი ჴელი ნუგეშის!
სადა ვერ ვჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც
მწუხრის ჟამს;
სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე — უვარსკვლავ;
და სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების, სადაცა ვიყავ!

მწუხარების დროს ჟამნი მსწრაფლნი ვლიან ნელიად,

ჵ უბედურის სახეზედა ღრმად ბეჭდენ თჳსთ კვალთ.
არდა აუკავდეს გული ჩემი ორგზის ამ სოფლად!
მახვილი გულით ვერ აჰგლიჯონ შემდეგ სიხარულთ.
ვიყავ უსაგნოდ, უიმედოდ — მაგრამ, ოდესმე
გულსა რაღაცა გაელვებით განახარებდა,
ან დავიწყებით, ან შებრალებით წარსულ სიამე
თითქმის ჩემს გულში სურვით ნაცნობს ძველს კვალს
ჰპოვებდა.
თითქმის ჰსცდილობდა განბნევასა. გულის სიბნელის —
ჵ ვით თჳს სადგურს ჩვეულებრივ, მუნ დამკჳდრებას.
მაგრამ მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის
წარსულთა დღეთა იგონებდა რა ნეტარებას!
ესრეთ აშვენებს სიტურფითა ვარდი სამარეს;
ესრეთ მშვენიერთ ბაგეთა ზედ იელვებს ღიმი,
თუმცადა გულში უზომოსა ჰფარავს სიმწარე!
ესრეთ ვარდს დამჭკნარს დაეცემის უდროდ ცის ნამი.

უწინოდ ჩემთჳს მდინარებდენ თჳსითა წესით
დღენი ჵ თვენი — ჵ ვერ ვთვლიდი მე მათსა დენას.
შემაშრნენ ცრემლნი, მაგრამ ართუ ჭმუნვათ
განქარვით;
ართუ ვისგანმე მოვისმენდი ნუგეშისცემას?
არა! წყვდიადსა მას სადგურსა სხივნი ნუგეშის,
ვერ მოუფინენ საშვებელად გულსა უბედურს!
ვაჲ მას, ვინცა ჰრაცხს ნუგეშად, ვით მე მიმაჩნის,
რომ შევეჩვევე მწუხარებას ჵ ვაის სადგურს!

ჭმუნვის ცეცხლითა გულსა დამწვარს აგრილებს
ცრემლი

შემაშრნენ ცრემლნი — და ესეცა შვება მომაკლდა,
მაშინ შემექმნენ გონება ჩლუნგ და ქუადა გული
და ან რაც ვიყავ, ან რაცა ვარ, ყველა მავიწყდა.
მარამ მახსოვს რომ ერთ-გზის მესმა ჭიკჭიკი მერცხლის
ვჰსთქუაა! რომ მართლივ მრწამდა იგი ხმად მეგობრისა.

იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული
და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!
მარამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის განხდა ხრიალი,
და კედელთაცა დაყრუებულთ წარმოსთვეს ზანი!
ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი!
გავოცდი, ვდუმენ — და კმა ჩემი მეგმ ვერ ვჰსცანი.
მის ჟამით ვიყავ, ვით სამარეს უხმოდ, უსიტყუოდ,
ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიღეს.
პირველად მზის შუქს თვალთ ვერ უძლეს დავშთი უნათლოდ,
შემდეგ სიამით მიმოვხედე გარეშე არეს:
მდინარე იგი, იგივ მთანი ნავ-მომვენნი;
წალკოტნი, ველნი უწინდელებრ აღმწვანდებოდენ!
იგივ უღრუბლო, უცვალებელ ცა ნათლოვანი.
მხიარულ ყრმანი თამაშობით მოიმღერდენ!
გამოვემსწრაფლე სამშობლოსას სადაც ვგონებდი
წარსულთა ტანჯვათ, მწუხარებათ დავიწყებასა,
მარამ ახ! იყოს წყეულიმცა ესრეთი ბედი:
მშობლის ხვევნის წილ შევხვდი ახალს მუნ ვაებასა!
ვისგან ნუგეშსა მოველოდი — მისი სამარე

თვალთ იხილეს და არ დაბრმავდენ მყისვე ის თვალნი!
უგუნურადა დავმზერდი მის საფლავს მდუმარე
და გლახ გულისა სანუგეშად ვერ ვჰპოვე ცრემლნი!

ვისგან და ვისთჳს განიხაროს აწ გულმან ჩემმან?
ვისა შევბრალდე, რომ ეგებ მით გული განგრი-
ლდეს?
ღრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს აწ ვისმა ღიმმან?
უდროდ დავბერდი და ცხოვრებით გული რის და-
ტკბეს?!
სიყვარულის სურვილი მას ვერ დაუთხრობს გულს,
მისი სიცოცხლე ვერა დასტკბეს მართლ სიხარულით,
ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით აღვსილს,
უმზერს ვით აწ მე, მიუნდობელ გამოცდილ თვალით!
ხვალე არღა მრწამს ვით ღამეში მაცთუნი სხივი.
ვინ ჰსთქჳას: ხვალეცა ვიქნები მე, ვით დღეს
ბედნიერ?
ვისწავლე ესე, რის გამქრო ბედის ვარსკვლავი,
და აწ თუ განვლის დღე მშვიდობით—მწუხრს პირ-
ჯვარს ვიწერ.

მარამ ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჭკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ
და განმასვენე ქვეთებათგან ბოროტ მხედრისა!
მისთჳს ვჰლოც ცას რომ შავნი დღენი ჩემთჳს
შთომილნი
არ შეწყდენ, ვიდრე ქვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ!

და მაშინ ოდესც საუკუნოდ მივლულო თვალნი,
მშობლიურ მიწა, ჴელთა შენთა გულს დამაყარონ!

თ. გრიგოლ ორბელიანი.

1834 წ.

---

## მწირი.

---

შორს სამშობლოსგან ურწყულსა ველსა
იჯდა ჭაბუკი ფერი მიხდილი;
სოფლისა ამის დაუდგრომლობას
მოსთქმიდა მწარედ გულამოფსკვნილი!
აგონდებოდა გორა მაღალი,
მფლობელი ვაკეთ, ტყეთა და ველთა,
სადაცა მვალნი ეკკლესიაშიდ,
განისვენებდენ მისთა მშობელთა;
სიდამაც ღელვა შავისა ზღვისა
გამოჩნდებოდა ლურჯად და ლურჯად;
სიდამაც ათასთ მცხოვრებთა ერთა
მოჩანდა სახლი პირად პირადად.
არდა ნათობდა მისი მთოვარე,
რომელს ბინდის ჟამს ის შემტრფოდა,
რომელი მაზედ შუქსა აფრქვევდა
და ვითა დედა შვილსა დათრთოდა,
აგალობებდა და ახარებდა,

აჭაბუკებდა, ახალისებდა,
სიყვარულისა სანთელს უნთებდა,
ღამეს უთევდა, დროს უტარებდა.
არსადა იყო მისი მდინარე
ოქროს ქვიშაზედ მძიმედ მოარე,
რომლის სათავე არის მჩქეფარე,
კავშანთ ჯვარის მეიავარე.
არ ჭვრეტდა იგი ვარსკვლავს ბედისას,
მთიებსა მჭვირვალს ბედისწერისას,
სიცოცხლის სვეტსა, იმედსა თვისსა:
ბრწყინვალებასა სამშობლოჲსას...
შორს სამშობლოსგან უცხოსა ველსა
იჯდა ჭაბუკი ფერი მიხდილი,
სოფლისა ამის დაუდგრომლობას,
მოსთქმიდა მწარედ გულამოჴსკვნილი!....

ვოლოხიდელი.

1858 წელსა.
ოკტომბრის 4-სა.
ქ. ტფილისს.

---

# შაშვი. (*)

---

უცხოს, მშჳენიერს ყაფაზას, უცხო შაშვი ჰსჯდა გალობდა,
ხან ჭახჭახებდა, უსტვენდა, — ხან თჳსს ტყუეობას ჰგლოვობდა;
ხან მავთულთ კუთხეთ მიაწყდის, ხან გამოხსნასა ჰცდილობდა,
ხან დადაღული ტკბილის ხმით, შორს სატრფოს თჳსს შაშვს უხმობდა:

— დავნატრი იმ დროს, როს ვიყავნთ შეტკბობილ ერთად ბუდესა,
მზის აღმოსვლასა ვჰხაროდით, ფართოდ დავჰსტროფოდით ზღუდესა,
თავის უფლება გვაქუნდა. — ხეთ შევსხდით: სწორსა, მრუდესა,
აწ ტყუედ მყოფს? შენი სიშორე? ორკეცად გულს მწვავს წყლულესა.

ვჰსთქუა: თუ ამ სოფელს უმძახო? მითვე ვარ უმეცარია.

---

(*) ლექსი ეს შეთხზულია განსვენებულის თ. ჩიქოანისაგან, ერთის კვირეთი წინათ სიკვდილისა, ავათმყოფობაში. ეტყობა წინათვე უგრძნია სიკვდილის მოახლოება. რ.

ცხადია მისი მეხთილობა, უწყალო მებადურია,
აროდეს არვის დაინდობს, — დანმდობი მისი მცდა-
რია,
და რის მის ბადეს გავბმულვარ? — ჩივილი-სადაურია!

მხოლოდ ამას გთხოვ: რომ გესმას ჩემი აქ სხვა-
გან სიკუდილი,
ნურად ჰსწუხ....! ყოვლად შემქმნია — სიცოცხლე
ყამად დავსილი,
მოვალს დრო, დამხსნის ყოველსა,-გული მშჳდ
მექმნას დაცლილი;
შენ იხარებდე,-მე წარვალ სიყვარულითა აღვსილი.

მჯერა, შენც უწყი: სულ სხუაა, უპირო სიყვარულია.
იგია ორივ სოფლისა: სიტკბო და სიხარულია,
მასთან წარვიტან იმ სოფლად, რომ აღმომხდების
სულია;
მუნ მოხვალ, — მპოვებ,-დაგხვდები, სად სიყვარული
სრულია. —

თ. ალ. ჩიქოვანი.

---

რტო პოლესტინისა. ~~(პუშკინისა)~~ ლერმონტოვისა.

---

მითხარ მე, რტოვო პოლესტინისა:
სადა ჰყვაოდი? სად იზრდებოდი?

ვითართა ბორმკთა, ვითარს მინდვრისა
შენ შემამკობლად იმყოფებოდი?

წყალთ თანა წმინდის იორდანისა
აღმოსავლეთის სხივი თუ ჰკრთოდა?
ან ღამის ქარი ლიბანის მთისა
მრისხანებითა თუ შემოგჰქროდა?

ლოცვასა წინარსა თუ კითხულობდნენ,
ან თუ გესმოდა სიმღერა ძველი,
ოდესაც შენსა ფურცელებსა სწნევდნენ
იქ, სოლიმისა საწყალნი ძენი?

და ბზა იგი ჯერ კიდევ ცოცხალ არს?
ისევ მიიზიდავს ჩვეულებით
უდაბნოჲს გზით იგი მიმავალს
ზაფხულში, მისის ვრცელის ფურცლებით?

ანუ, გაურილი დიდ მწუხარებით,
იგიცა დასჭკნა, უმფროს შენზედა,
და ქვენა მტვერი სწვება სიხარბით
მის გაუყვითლებულთ ფურცლებთა ზედა?

მომითხარი მე: ღჳთის მოშიშ ჴელით
ვინ მოგიტანა ამა მხარეთა?
ხშირად შენზედა იყო მოწყენით?
იცავა კვალსა მწარეთა ცრემლთა?

ან, ღვთის მხედარი უუკეთესი,
იგი იყო უღრუბლოს თხემისა,
და ვითარცა შენ, მუდამ ცათ ღირსი
წინაშე კაცთა და ღვთაებისა?

წინაშე შემკულ ოქროს ხატისა,
საიდუმლოებს ზრუნვით დაცული,
სად გევსარ, როგო იერუსალიმისა
ეკკლესიის ერთგული მცველი.

კიდობანი, ჯვარი, სიმბოლო წმიდა...
მჭვარტვალე ბინდი, სხივ კანკელისა,
სავსე არს მშჳდობით და ნუგეშითა
შენსა ზედა და გარემო შენსა.

ს. ლი.

ჩყნჱ-სა. წელსა.
აგვისტოს თ-სა დღესა.

---

სვანეთის ალებასა ზედა კნიაზის გ. ერ.

---

გორთა მაღალთა,
ვინა მკვიდრობდენ,
რომელთა გულნი მოქადულობდენ.

გიორგის მჴედრის,
ღჳთის შემწით მჴვედრის,
გოლიათებრივ განიზრდოდენ.
იცვეთნენ მსწრაფლად,
ლტოლვა ქმნეს წამლად:
მთათა ვაშრალთა დაიმალვოდენ.
იხილეყთ მალო,
ხუსტ შენაცვალი,
ყრწთვნელოყს ჭყულონი დაილალვოდენ.
ოდეს სცნეს თვალი,
მზისგან მავალი,
მიმართეს სწრაფად ხსნეს შესავალი.
ომთა უხმართა,
ვერღა გავზედავთ,
შენ შემოგვედრებთ, დაგვდევი ვალი.
რტონი ქედისა,
მაღლა მხედისა,
შთამოგვიცვივდნენ იქმნენ დამზვრალი.
როვვანი ჩეჩნნი,
ოხერ შეიქმნენ,
რაზამ სიზნელით იყჳნენ დამთვრალი.
გმირო შენ გმონებთ,
სახლით და კარით,
ვინ მღალი იყავ ტომით მცველოდეს.

20/11-59წ.

ვანმდიდრებითა,
სათნო საქმითა,
ვის ტახტი გვართა აღვემწეოდეს.
ისმინეთ თხოვა,
ზედით შემთხვევა,
სიბნელე ჩუენი შეგვეწყალეოდეს.
ინებეთ თნევა,
კეთილთა ქმნევა,
წყალობა თქუენი შეგვეწეოდეს.
ერთა მფლობელო,
კეთილ მპყრობელო,
მთანი გივლოდეს იქმნა მდელოდა.
რისხვამან თქუენმან,
გულთ დამწყვედელმან,
ჭკუა განმრცვილნი შეგვქმნა ჴელოდა.
იკლო სიმხნემან,
მხეცებრ მქცეველმან,
დალმა დახვრითა დაეცემოდა.
სახმილთ გზებანი,
თოვხანთ ცემანი,
ვის ჴმანი კროლმით მოგვეცემოდა,
თავნი გვირეტნა,
ტანნი გვილეწნა,
თქუენთვს ალმართნი ივაკელოდა.

აღწყდა იმედი,
ჩუენი შემწედი,
შიშით გულები შეგვეწვოდა.
ვით ლომ ვეფხვებთგან,
დევნულნი მხეცნი,
კლდეთა მაღალთა იფარვოდა,
ილივნენ დღენი,
ჩვენებრ ბნელთანი,
ჩრდილოთ ცისკარი ინათოდა.

ანდ. კასრაძე.

ქ. ქუთაისს.

## მკითხველთა მიმართ.

მრავალნი ვიდრემე არიან, რომელნი დაემონებიან უადგროთა გულის თქმათა თჳსთა და უკეთუ შეხვდე-ბისთ გარეგანის შუენიერებითა მორთულნი პირნი, აღტყინებიან და არღარა განჰსჯიან და იგონებენ, რაოდენნი წინად უხილავნი უბადრუკებანი შეუდგე-ბიან მათ და გარეგანთა მათ მშუენიერებათა შინა, რაოდენნი უშუერებანი შინაგან დაფარულ-იქმნებიან: მაშა ყოველთა მიერ სათანადო არს, რათა განიხი-ლვიდეს შინაგანთა შუენიერებათა. ვინადგან გარე-განის სახიერებით მოცთუნებულნი მრავალგზის მისცემიან სინანულსა, გარნა გვიანღა ყოფილარს და მათთჳს ყოვლადვე უქმარ; ამისთჳს კეთილ-გულის ჴმიერება ითხოვს, რათამცა ვიდრე ჴელ-ყოფადმდე, ჰკითხვიდეს განზრახვსა თჳსისათჳს გამოცდილთა და უმეცნიერესთა კაცთა, უფროს მათ, რომელთა არა ექმნების მონაწილეობა განზრახვასა მას შინა, რა-მეთუ იგინი გულ-გრილად და არა თუალ დებით გან-ჰსჯიან მისთჳს; ვინადგან ნამეტნავი სურვილი გან-ზრახულისა მის მიერ, რომელსაცა სურს აღსრუ-ლებაჲ მისი, დააბრმობს გონებასა და ვერღარა

ჩხილავს, თუ ვითარნი უჭჳჱ ვნებანი შეუძლებიან მას, რათა ოდენ აღასრულოს სურვილი თჳსი. მოვიდეს მზგავსად სახლსა გარეგან შჳჱნიერისა სახილავად და შენობით შემკულსა, არა შესაძლო იქმნებისა რათამცა ყოვლად მშჳჱნიერი იგი სახლი იყოს საჴსე გესლიანთა და მავნებელთა ქჳჱ-წარმავალთა მიერ, და კაცი, მხილჳჱლი მისი და სათნო მყოფელი სახლისა მის, შევიდეს მუნ დადგრომად; შესაძლო არს, რათა ღამესა მას დაძინებულსა კაცსა, მიეტევნენ გესლიანნი იგი ცხოველნი და დაზდვან წყლულებაჲ, განსიჳნეს კაცი იგი და მოკჳდეს: რაჲსა უჭჳჱ იტყჳთ ამისთჳს? არა უმჯობეს იყოა კაცისამის დადგრომა სახლსა უბრალოსა და სახითა მქისესა გარეგან, ხოლო შინაგან განწმენდილსა და ყოველთა ქჳჱწარმავალთაგან ცალიერსა და შეუალსა, სადითცა კაცი იგი უვნებელად გამოსრულ იყო? არა უმჯობეს იყოა კაცისა მის დადგრომა გარე თჳთ უსაჭიროესთა დროთაცა შინა, ვიდრემდის მორთულსა მას სახლსა შესჳლა და სიკჳდილი?

ჭეშმარიტად გეტყჳთ, ესრეთვე ჯერ არს კრძალვა ცთომათაგან თჳალისათა და გარეგანთა შჳჱნიერებათაგან და ყოვლითურთ სათანადო არს განიხილვევდეს შინაგანსა შჳჱნიერებასა. ჯერ არს ვჰსთქჳა ესეცა, რამეთუ ოდესმე უსახურთაცა შორის დამკჳდრებულ-არიან დიდნი სათნოებანი სულისანი, კეთილ-გულისჴმიერებანი, გულ-წრფელობანი, განწმენდილი სჳნიდისი და მართალნი და შეურყენებელნი

მეუღლებისა სიყუარულნი; ამა გარეგანსა უსახურო-ბასა რაოდენნი შინაგანნი სახიერებანი ჰქონან. მითხარითღა მკითხველნო: რომლისა შუენიერებისა მოძიება თანა-ამს კაცსა გულისხმიერებითა სრულსა, შინაგანისა, ანუ გარეგანისა? უკეთუ წინამდებარესა ამას მოთხრობასა შინა მოხსენებულს ჭაბუკსა განეზრახა ესრეთ, მაშინ არცადა აღკოცდა სახელსა თჳსსა საწუთოსა ამის სოფლისაგან, არცა დასტ-უჳწკდებოდა გარეგანის მშუენიერებითა ქალისათა, რომელმანცა უკანასკნელ წარმოსთხივნა დაფარულნი შინაგან უსახურებისა გესლნი: ვსასოებ, რამეთუ წარმკითხუელნი ქუემორე მოხსენებულისა ამის ჰამბისანი, იტყჳთ; რამეთუ მე სიმართლით აღვიარე ყოველივე ზემორე დაწერილი და არა თჳალ-დებით.

## უსარგებლო ცბიერება და დაფარული კაცთა მორის გარეგანთა მშვენიერებათა შინა შინაგანი უშვერება.

---

დროსა ქართველთა მეფობისასა, ხოლო ათაბაგობასა ბექასსა, იყო მესხთა სამთავროსა მთავარი არტავაზ; ამას უკვე ესვა ასული ფრიად მშვენიერი, რომელსა ეწოდებოდა სითიხათუნ: ჴამბავი ქალისა მის მშვენიერებისა განითქვა ყოველსა ქვეყანასა, არათუ მესხთა და სათაბაგოსათა; არამედ მოიწია საქართველოსაცა, ხოლო მუნითვე სპარსეთამდე: მცნობელნი ამისათჳს მეფნი, მეფეთა და დიდებულთა მთავართანი, აღეტყინებოდნენ სურვილით და მოიწეოდნენ მესხეთად ქალაქსა არტანუჯს, ხილვად ყოვლად მშვენიერისა მის ქალისა, განმზრახნი, უკეთუ ვერ ეწიოდნენ აღსრულებასა სურვილისა თჳსისასა შერთვისა მისისათჳს, მაშა ოდენ დამტკბარცა — იყვნენ ერთის კილვითა ყოვლად მშვენიერის ქვეყანისა მის მნათობელისათა.

ხოლო მოწევნილნი იგი ქალაქად, ვიეთნიმე დაადგრებოდნენ მრთელსა თვესა, ზოგნი ნახევარსა წელსა და სხვანი წელიწადსა, დაადგინებდნენ მხშილავად მსახურთა თჳსთა და მონათა, ხოლო სხვანი მოიმზიდვიდნენ მუნებურთა მცხოვრებთაგან, რომელთაცა ეუწყებინათ გამიჯნურებულთა მათთჳს, ოდეს ქალი იგი გამოვიდოდა სასახლით გარე, ანუ შევიდოდა წალკოტსა შესაქცევრად, რათამცა ეხილვათ

ავგი მათ.

განეფინებოდა რა გამოუთქმელისა და საკვირვე-ლისა შუენიერისა მის ქალისა ჭამბავი; მიწევნილ იქმნა ყურთაცა რანის ერისთავის ფადალას მის ყამარბეგისათა; რომელი იყო ჭაბუკი შუენიერი, ახოვან, მკნე და მამაცობასა შინა განთქმული: განი-ზრახა ჭაბუკმან ამან, რათამცა წარვიდეს და წარი-ღოს თჳსთანა მრავალნი საუნჯენი უცნობლად მა-მისა თჳსისა და უბძანა დიდებულთა და ახოვანთა თჳსთა განმზადება წარსლვისათჳს სახმართა საგზალთა და ყოვლითა საჭიროთა გზისათჳს, ხოლო თჳთ შე-ჭურვა მდიდრის საჭურვლითა და მჴრუვსი სა-მოსელი შეიმოსა და განემზადა რა, წარემართა გზასა.

და ვითარცა მიიწია ქალაქსა არტანუჯს, დაად-გრა სახლსა მუნებურის ვაჭრისასა, რომელსა ეწო-დებოდა სახელად გურამ. იხილნა მრავალნი ქალაქსა მას მისრულნი უცხოს ქუეყნებით, მენი მეფეთა და დიდებულთა მთავართანი, შუენიერისა მის ქალისა ჭამბით გამიჯნურებულნი და შოვნისა მისისა მოსა-გნი. ხოლო ყამარბეგ მხილველმან მათმან განიზრახა, რათამცა არა საცნაურ იქმნეს მათ მიერ, შეიმოსოს უბრალოჲ სამოსელი და მგრეთ შეუდგეს ქალისა მის ხილვასა. ამისათჳს ერთს დღეს განთიად ადს-დგა და განვიდა სახლით და მიმართა სამთავროსა სახლსა და იცუოდა თავსა შორის თჳსსა, თუ ვითარ უქუჲ იხილოს სითხათუნი და განიცდიდა სახლსა მას. და ვითარცა მიიწია პირის-პირ სახლისა, რო-მლისაცა სარკმელი ჭსჭურეტდა ქალაქით გერძო,

მაშინ ერთბამად განეხვნეს კარნი სარკმლისა მის და ვითარცა შეხედა უამარზეგ, იხილა მუნით შუენიერი იგი სითხათუნ, ახლად აღმდგარი სარეცელით და ერთისა ოდენ პერანგითა მოსილი, რომელსა მკა-რთა ზედან გარდაშლოდენ გიშრისა მსგავსნი თმანი და ნათხეზნი კავთანი და ჰსჩნდა თოვლებრ სპეტაკი მკერდი და ვითარცა ორნი შუენიერნი თურინჯნი კოკობნი იგი ძუძუნი, რომელსაცა კელი კაცობრივი ჯერედ არა შეხებოდა. უამარზეგ მხილველი მისი სულ-მცირე-იქმნა, დაუბნელდნენ თუალნი და დაეცა ქუეყანად და მყის უცნობ იქმნა. შეისწავა ესე სითხათუნ, მყის კმა ყო დედა-მძუძესა თჳსსა და ჰრქუა: მიავლინე მონათაგანი ვინმე, რათა იხილოს მან პირის-პირ სარკმლისა ამის ქუეყანად დაცემული კაცი, რომელიცა მდებარებს ვითარცა მკუდარი, ჰსცნას უკუე ვინ არს და რაჲ შეემთხუა უბადრუკსა მას? დედამძუძემან მყის უბძანა მონასა და მიავლინა ხილვად კაცისა მის, ვითარცა უბძანა მას გაზდილ-მან თჳსმან.

მონამან, რომელი მივიდა, იხილა, რამეთუ კაცი იგი არს მდებარე და უგონო-ქმნილი, და ვითარცა შემდგე მრაუალთა წოდებათა კვალადცა უძრავად ქმნილ-იყო, ისწრაფა მოღება წყლისა და დაასხა მას და მცირე მცირედ მოეგო უამარზეგ გონებასა; ხოლო მივლინებული იგი ჰკითხვიდა მას და ეტყოდა: ვინ ხარ ძმაო და რა შეგემთხვა? მიუგო უამარზეგ: ძმაო მე თჳთ არ ვუწყი თუ რა შემემთხუა, გარნა ოდენ მახსოვს, რამეთუ მიმავალმან პირის-პირ

სარკმელისა მის (უჩუჱნებლად ჴელით), ვიხილე ერთ-ბამად განხმულნი კარნი, რომლისაგანაცა გამოკრთა მცხინჳარებაჲ საკჳრველი, ვითაცა მზისა მიერ, მომტაცა ნათელი თჳალთა და ქჳჱ დავმკჳჱთე და უგონო ვიქმენ, ვიდრემდის შენ უკჳჱ მომიყვანდი ცნობასა. ჭვალადცა ეტყოდა მონაჲ იგი და ჰკითხვდა, მამაო ვინ ხარ და რასათჳს მოხვიდოდი, მიუგო უამარზეგ; მამაო ვარ გლახაკი შორიელის გზით მოსრული და ვალ მოწყალების სათხოჳნელად, ამისთჳს მოვმართე აქაცა თხოვად რაჲსამე მდიდვარის საზრდელისათჳს, გევედრები მამაო მარქუ, შენ უკჳჱ ვინ ხარ, რომელმან ესოდენი მღჳთის მოუჳრებაჲ და წყალობა მიჩუჱნე და მიხსენ სიკჳდილისაგან? მიუგო მონამან მან, მე ვარ მსახური მთავრისა, ასულმან მისმან გიხილა შენ დაცემული ქუეყანად, ამისათჳს მომავლინა საცნობელად შემთხჳჱულისა შენდა ვნებისა, მაშინ უამარზეგ ჰრქუჱა: მამაო უმდჳჱნ ფრიადი მადლობა სიმაღლესა მისსა, უფალმან მიაგოს ნაცჳლად წყალობისა ჩემისა ასი წელი კეთილი: ხოლო მონა იგი მიიქცა სასახლესა, ყოველივე აუწყა დედამთავრესა, ხოლო მან მოახსენა ვაზირსა თჳსსა სითიხათუნ ადიდო და მისცა ფრული ერთი, და უბძანა მიცემად გლახაკისა მის; უამარზეგ მიიღო ფლური იგი და მიიქცა სახლსა თჳსსა, სადაცა დადგრომილი იყო იგი.

მეორეს დღეს სადილად მისადა სახლის ჰაცრონსა ვაჭარსა გურამს, მისრული გურამ უამარზეგისა, შემდეგ ჯერონანისა მოკითხვსა დაჯდა ახლოს

უამარზეკისა: ხოლო უამარზეკ იწყო კითხვა ქვეყანისა მის ჩუეულებისა და მთავრისა მის ჰამზისა: გურამ მეტყოდა, ვითარმედ მთავარი ჩუენი არს ფრიად პატიოსანი გუამი, ღუთის მოშიში, გლახაკთა კეთილის ადმპყრობელი, ეკკლესიათა მაშენებელი და ყოვლის სულიერითა სათნოებითა აღსავსე; გარნა უბადრუკად ჰრაცხს თავსა თჳსსა, ვინადგან არა უვის ძე, გარნა ოდენ ერთის ასულისა, რომლისაცა შუენიერებისა ჰამბავი განთქმულ-არს კნინდა სრულიადსა კიდესა სოფლისასა, და მოსულან მრავალნი მეფეთა, მთავართა და დიდებულთა ძენი და ჰსცხოვრებენ ქალაქსა ამას, მომლოდნენი კელისა მისისა შოვნისანი; გარნა ამაოდ დაშთებიან ყოველნი მეცადინეობანი მათნი, ვინადგან ქალი იგი არა განიზრახავს ქმრის შერთვას, ხოლო მთავარი ჩუენი, მამა მისი არტავაზ ფრიად ჰსწუხს ამისთჳს: ვინადგან ჰპრცელი ესე სამთავროჲ მისი ჯერ-არს დაშთეს უმკჳდროდ, ხოლო ათაბაგიცა ზექა მარადის ეძიებს დაპყრობასა მისსა, გარნა შიშის მეფისა ჩუენისა ვახტანგისა, ვინადგან ვახტანგს ფრიად უყუარს არტავაზ.

ჰრქუა უამარზეკ: ძმაო, რა მიზეზი აქუს ქალსა მას, ვინა სურს რათა შეირთოს? ნუთუ საუკუნოდ უქმროდ ეგების? მიუგო გურამ, ვინ შემძლებელ არს ჩუენგანი ჰსცნას ეგე და ვინ იკადრებს მაგისთჳს კითხვასა? მე მივის ასული ერთი, რომელსაცა სითიხათუნ ჰზრდის სახლსა თჳსსა და ფრიადცა უყუარს იგი. თუცა მრავალგზის ვკითხავ მაგისთჳს გარნა მარადის მეტყჳს, რამეთუ ქალი იგი მადრე-

ჭალ არს დღ̃თის ვედრებისა შემართ და სწადელი მისი არს, რათამცა მოეთხოვოს ზეცისა სიმესა და წარვიდეს მონასტერსა დედათასა, ხოლო საცხოვ-რებელი თჳსი განუყოს გლახაკთა და ეკკლესიათა; გარნა ეშინის მამისა თჳსისა. უამარბეგ მსმენელმან ამისმან, არდარა განაგრძო საუბარი, უბძანა მონათა მოღება სადილისა, მოიღეს ტაბლა და დაადგეს და სანოვაგენი და იწყეს ჭამა და სმიდნენ ღვინოსა: ოდეს შეზარხოშდნენ, მაშინ უამარბეგ ჰრქუა: გურამ, მაქუს რაჲმე შენდა საიდუმლო საქმე და ვსასოებ შენ მიერ აღსრულებასა, ჯილდოდ ამისა მიგცე მრავალნი და გული შენ უადრეს პატივისა და ხარი-სხისა შენისა, ხოლო ასული, რომელიცა არს სოთიხათუნისათანა, იგიცა ვითხოვო ცოლად ძმისა ჩემისათჳს და იყო მდიდარ ფრიად წინაშე ყოველთასა. მიუგო გურამ, ჴელმწიფეო! მიბრძანეთ, უკეთუ შესაძლო იქმნების ჩემ მიერ, ირწმუნეთ სახელითა მღ̃თისათა, რამეთუ დაუზოგველ-ვჰყოფ თავსა ჩემსა. მაშინ იწყო უამარბეგ და ეტყოდა გურამს. მე ვარ რაინის ერისთავის ძეჲ სახელით უამარბეგ, რომელ-საცა მესმა შუ̃ენიერებაჲ მთავრისა ოქრუ̃ცნისა ასუ-ლისა, რომლისა სურვილმან აღმატყუენა და მოვიწივ აქა; მოვედან ვიხილე ქალი იგი მისრულმან სახლისა მისისა სარკმლის დამართებით, და ყოვლითვე ზემო-წერილი, ვითარცა უამარბეგს შეემთხჳა ხილვა სოთი-ხათუნისა მიუთხრა გურამს: აწ მარქუ̃ ძმაო ვითარის სახით სათნადო იქმნების ჩემდა, რათამცა ვეწიო სურვილისა ჩემისა აღსრულებასა, თანამდებ-ვარ

გითხრა ესეცა, რამეთუ უკეთუ ვერ ვეწევი განზრახჳსა ჩემისა აღსრულებასა, მაშინ თჳთ სიცოცხლესაცა ჩემსა წინაშე ქალისა მის დავასრულებ. მიუგო გურამ, ჴელმწიფეო ჩემო! ირწმუნეთ ჩემ მიერ, რამეთუ მე ყოვლითურთ ვეცდები სურვილი თქუენი აღვასრულო, უკეთუ შემძლებელად ვჰხადოდე თავსა ჩემსა, გარნა არა ვითარისა მცნებისა და საშუალობის მოცემა არ ძალმიძს და არცა ვუწყი რაბამი მცნებაჲ მოვცეთ, ვინადგან სურვილი თქუენი მდგომარებს დიდსა საქმესა შინა.

ესმა რა ესე ყამარბეგს მოიდრიკნა მუხლნი წინაშე გურამისა და ჰრქუა, მიიღე ჩემ მიერ, რაჲცა გსურს და ვინადგან ასული შენ ახლავს სითიხათუნს, დამავედრე მას, ნუთუ რომლისამე ღონის-ძიებით შემძლოს გამოცხადებაჲ მისდა სიყუარულისა და სურვილისათჳს ჩემისა: წინადვე გაუწყე, რამეთუ თჳთ ასულსაცა შენსა ვითხოვ ძმისა ჩემისათჳს; მიუგო გურამ, აწვე შევალ ასულისა ჩემისადმი და ყოველსავე ბრძანებულსა განვუცხადებ და ვჰკითხავცა, ვითარის საშუალობით ვეცადნეთ აღსრულებასა განზრახჳსა ჩუენისასა, და ვეტყვი ჰკადრადეცა, თუ ვითარის სახით თჳთცა მან გამოუცხადოს სითიხათუნს: ადგა გურამ და შევიდა ასულსა თჳსსა თანა და ეტყოდა ესრეთ: შჳლო თამარ, მაქუს რაჲმე შენდა სათქმელად საქმეჲ უცხო, რომლისაცა აღსრულებასა ზედან დამოკიდებულ-არს ბედნიერებაცა შენი, მიუგო ქალმან. მამაო მიბრძანე და უკეთუ ჩემ მიერ შესაძლებელ-იქმნების აღსრულებაჲ მისი,

ვითარ ვიკადრებ უარის ყოფასა ბრძანებისა თქუე-ნისასა.

მაშინ გურამ იწყო და ჰრქუა: ისმინე საყუარელო ასულო ჩემო, ჭაბუკი ესე, რომელი დადგრომილ არს სახლსა ჩუენსა, არს რანის ერისთავის მეა-რომლესაცა სახელად ეწოდების უამარზეკ; მას უკუე ჰსმენიეს შუენიერებაჲ სითიხათუნისა, ამისთჳს ამიკად შექმნილ არს და წარმოსრულ არს საყრის-თოჲსა თჳსით, რათამცა შეირთოს ქალი იგი ცოლად. და ჰსთხოვს არცავაზს; ჭაბუკი იგი მევედრა შენთან შუამავლობასა, რათამცა შენ თავს-იდუა მოხსენებაჲ სითიხათუნისა და ითხოვო მის მიერ თანხმობაჲ, უკეთუ მამა მისი მოსცემს ჭაბუკსა ამას თავით თჳსით თანხმობასა. თამარ ამისი მსმენელი განცჳ-ფრდა ფრიად და მალიად გაცინებულმან მიუგო მამასა თჳსსა და ჰსქუა: მამაო, კაჲ რაოდენ უბრა-ლო ფიქრი არს თქუენ მიერ თქმული ეგე და ჭა-ბუკიცა იგი ამაოდცა დამაშურალ არს, ანუ ვითარ მიბრძანეთ მაგისთჳს და რაზამ ვიკადრებ მაგის გამოცხადებასა სითიხათუნის მიმართ, ნუთუ გხურსთ სიცოცხლისა ჩემისა უაზოდ დაკარგუა და ფიცხელის სასჯელით გამოძიებს ჩემი სამთავროჲსა მის ჰალა-ტით; ნუთუ არა უწყით, რამეთუ სითიხათუნ სრუ-ლიად იჯმნის მეუღლეობის განზრახჳსაგან; და დიდებული მამაჲ მისი დიდად იკრძალვის გამოცხა-დებულად, ოდეს მოიწყვიან დესპანნი დიდებულთა მეფეთა და მთავართანი და ჰსთხოვენ მას მიცემას ასულისა მისისასა ძეთა მათთჳს ცოლად: უკეთუ

ფე მაგისთჳს გჳყოფ მასთანა ზრახჳასა უკჭჳწლად მიმცემის სიკუდილისა, ანუ საუკუნოდ განმიშორებს თჳსგან; არა მამაო, ნუ მაწუწებთ მე მაგას... და ნუცა ამედოვნებთ მაგისთჳს, არქუთ ჭაბუკსა მას, რათამცა მან მოიმიოს სხუა ღონისძიება: ესე ყოველივე აუწყა გურამ უამარზეგს, აღივსო იგი მწუხარებით და არ უწყოდა ვითარი უკუე საშუალობა მოეპოვა მისთჳს.

ხოლო უამარზეგ მეორეს დღეს ქუალადცა შემოსილი უზნალოს სამოსლითა წარემართა სამთავროს სახლისა მიმართ, განიზრახვიდა, რათამცა იხილოს ქუალად სითიხათუნ. ოდეს უკუე მიეახლა სახლისა მის სარკმელსა, სადაცა იყოფოდა სითიხათუნ, იწყო გალობით სლვა და გარეთ მიმართა სასახლესა მას, იხილა სარკმლით სითიხათუნ მიმავალი იგი, ჰრქუა დედამძუძესა თჳსსა, აჰა გლახაკი იგი კაცი ქუალადცა მოვალს, მოუწოდეთ მას და მიეცით მოწყალებაჲ და ჰკითხეთ საით მოსულ-არს უბადრუკი იგი? დედამძუძემან გამოსულმან გარეთ მიუწოდა, და უამარზეგცა ნელიად მივიდოდა სახითა უძლურისა და ღონე მოკლებულისათა; მივიდარა ახლოს, ჰკითხა დედაკაცმან მან, ვინხარ მმაო და საით მოსულხარ? მიუგო უამარზეგ: ვარ გლახაკი შორიელთა ადგილეთაგან მოსრული, თხოვად მოწყალებისა დღითის მოყუარეთა ერთაგან, გზასა ზედა დამემთხჳა ხურგები და მისცამო ულონოდ ვიქმენ, ხოლო აწ მიმოვექუწთები ადგილითი ადგილად, არა მექონეა არა ვითარისამე საგანისა: უწინარეს ამისად ქუალადცა

მოვედ აქა მოწყალებისა თხოვად, გარნა მოვასხლე-რა ჰერის-ჰარ სარკმლისა, რომელიცა ჰხჭურეტს ასპარეზსა ამას, ვიხილე რამეთუ განეხუნეს კარნი სარკმლისანი, ხოლო განხმასათანა გამოკრთა საკჳრ-ჳელი მცხინჳარებაჲ მჭსვავსი ცეცხლისა, რომლისა მცხინჳარებისა ვერა მტჳრთჳელი მყის დავეცი ქუეყანად და უგონო ვიქმენ, ვიდრემდის აღმადგე-ნდა მე მოსრული ჩემდა რომელიმე კაცი, რომელ-მანცა მაპკურა წყალი და მომიყჳანა ცნობასა და ძალსაც ზე აღმადგინა, მაშინ მომცა ორნი ფლურნი და მეუჳსეულად განმეშორა, ხოლო ვითარცა შევის-წავე, კაცი იგი შემოვიდა სასახლესა ამას; აწცა, დედაო, მოვიწიე მოწყალებისა თხოვად, რათამცა სასლისა ამის უფალმან აღმიპყრას ჴელი წყალობითა თჳსითა და უფლისამებრ მიიღოს ნაცჳალი კეთილი. მაშინ დედაკაცმან მან აღმოიღო გასღებისა თჳსისა მიერ მონიჭებული გლახაკისათჳს ფლური და მისცა ხოლო თჳთ მიიქცა პალატად. მეუჳსეულად ჴმა უყო გლახაკმან მან, გამზდელო მცირედრე შეიცადე, რამეთუ მეგულვების რაჲსამე კითხუა; დადგა დე-დაკაცი იგი და ჰკითხა, რაჲ გსურს შჳლო! მარქუ დედაო, ვისი არს სრაჲ და პალატი ესე ანუ ვინა მომანიჭა წყალობაჲ ესე?

ჰრქუა დედაკაცმან მან, შჳლო პალატი ესე არს მესხთა მთავრისა, ხოლო მოწყალებაჲ ესე გიბოძა მხოლოდ შობილმან ასულმან; მისმან ჰკითხა უამარზეგ, უვისა მას ქმარი მიუგო დედაკაცმან, არა მას არა სურს ქმრის შერთჳა; ცხადადცა ეტყოდა უამარზეგ:

ნუთუ მთავარსა გარდა ერთისა მის ასულისა არა ჰყვის სხუა მემკჳდრეჲ? მიუგო დედაკაცმან მან, არა შჳლო, არავინ ჰყვის, ვინადგან ქალისა მის შობასათანა გარდაიცვალა მეუღლეჲ მთავრისა: დასძინა უამარნეგ, ვითარ შესაძლებელ არს, რათამცა დიდებული ესე სამთავროჲ დაშთეს უპატრონოდ, ოდეს არცა მთავარსა ჰყვის სხუა შჳლი და არცა ქალსა მას სურს ქმრის შერთუაჲ, ნუთუ ესოდენნი სიმდიდრე ჭურ-არს დაშთეს ოხრად, რაჲსა უქმე განიზრახავს თჳთ მთავარი ამისთჳს? მაშინ მიუგო დედაკაცმან მან განკჳრვებულმან საუბრითა გლახა-კისა მის, შჳლო, მე ვითარ შემძლებელ ვარ ცნო-ბად მაგისათჳს, და ჩუენთანა მაგისთჳს არავინ ჰყოფს ზრახვასა და ვერცა მუნამდე კადნიერ-ვიქმნებით გკითხოთ ეგე: გარნა რას იურვი მაგისთჳს? წა-რემართე გზასა თჳსსა, რათამცა ღმერთმან წარგი-მართოს და მოიპოვო დიდი საზრდელი, რომლი-საცა მოწყურად დაშურები, და მიიქცა დედაკაცი იგი სახლსა, ხოლო უამარნეგ ქუალადცა მიმართა ადგი-ლსა ახლოს სარკმლისა სადაცა იყოფდა სითიხათუნ, აღმოიღო მცირედი კოკორი პურისა ტავარჯოლით და იწყო ჭამა ნელიად.

ხოლო დედამძუძემან ყოველივე თჳთოეულად მიუთხრა სითიხათუნს საუბარი გლახაკისა, ვიდრემ-დის განცჳფრდა ქალი იგი და არა რაჲ უწყოდა კაცისა მისთჳს, ესრეთ მეტყუელისა; გარნა მიეცა ფიქრსა. მიხედა სითიხათუნ სარკმელსა და იხილა კაცი იგი მჯდომარე პირის-პირ თჳსსა და ძლით

მჭამელი ცარიელისა მის ბურისა; მაშინ გჳალადცა კმა უყო დედამამულსა თჳსსა და ჰრქჳა, მიხედე უბა-დრუკსა მას გლახაკსა, ზის და ჰჭამს ცარიელსა ბურსა, მიუვლინე მონის ჴელით სანოვაგე და სასმელიცა მცირე, ვინაჲდგან ფრიად მეწყალის მისთჳს, ვინაჲდგან სნეულ არს და არა რაჲმე აქუს, რათა-მცა სჭამოს უბადრუკმან მან. დედამამულმან მყის აღასრულა ბრძანება გაზრდილისა თჳსისა და წარუ-გზავნა მონის ჴელით. ვითარცა იხილა ყამარბეგ განიხარა და ფრიად ჰმადლობდა, და შემდგომად სა-ნოვაგეთა მიღებისა აღმოიღო უბით ძჳრფასი ბრი-ლიანტის ბეჭედი, რომელი ფარულად შთადვა ნე-შცსა ბურისასა და მისცა მონასა მას და ჰრქჳა, მიართჳ ნეშცი ესე ბურისა დედოფალსა შენსა და ფრიადი მადლობაცა უძღუენ ჩემ გლახაკისა მიერ, ღმერთმან ასწელ კეთილად გარდაუხადოს შეწყა-ლებაჲ ჩემი, გარნა მოახსენე, ნუ მიიღებს სათაკი-ლოდ ნეშცსა ამას ბურისასა და თჳთ მიიღოს, რომლისა მიერ მიიღებს ფრიადსა სიხარულსა; მონამან წარიღო იგი და მიართჳა სითიხათუნს ხოლო ყამარბეგ, მყის წარვიდა სადგურსა თჳსსა სითიხათუნ განცჳფრებით მიმღებელმან ბურისა მის შემუსრა იგი მყის იხილა შთადებული მას შინა ძჳრფასი იგი ბეჭედი და მეუსეულად შეძრწუნდა სულით, და მიეცა ღრმასა განზრახჳასა, და იტყოდა, რაჲმე იყოს ესე? უკეთუ ნამდვილ გლახაკი იყოს კაცი იგი, ვინ მისცა მას საკჳრველი ესე ნივთი უკეთუ ჰპოვა სადამე, შეეძლო მას გასყიდვა და

მიღება დიდ ძალისა ფასისა, რომელთაცა ეცხოვრა მდიდრად, და უკეთუ მე მომიკლიან ამისთვს, რათამცა მე მივჰსცე ფასი, მაშა, არცამცა წარვიდოდა იგი ამიერ და მოელოდამცა პასუხის მიღებასა, და არცა ესე ვითარის ცბიერებით წარმომიგზავნიდა ამას: ესე ვითარის ფიქრით გარემოცულიიყო სითიხათუნ, და მძინარესა მას ღამესა განიზრახვიდა ფრიად დაწმუნებული ამისთვს.

და ვითარცა განიზრახვიდა ამისთვს სითისათუნ, მაშინ შევიდა ვაჭრის ასული თამარ და ჰკითხვიდა და ეტყოდა სითიხათუნს: ჴელმწიფევარო ჩემო! რად ეგრე შეწუხებულ დაფიქრებულ ხართ? მიუგო სითიხათუნ არს რაჲმე საქმე საცნაური და ამასთანავე საწუხა-რიცა; ვინაიდგან ვიხილე გლახაკი ვინმე მოხუცებული პირის-პირ სარკმლისა ამის ჩემისა, რომელი ითხოვდა მოწყალებასა, წარუგზავნე მას ფლური ერთი და სანოვაგეცა და ვჰსჭვრეტდი ამიერ, რამეთუ მიიღებდა საზრდელსა მას, ხოლო უკანასკნელ ნეშტი პურისა მის მომიტანა მონამან მან, რომელმანცა მიუტანა მას და მარქუა, რამეთუ გლახაკი იგი ევედრა მას, რათამცა ნეშტი პურისა მის მივიღო მე და დავჰმუსრო ჴელითა ჩემითა, და ოდეს განვჰსტეხე იგი, აჰა რაჲცა ვჰპოვე პურსა მას შინა (უჩუენა ბეჭედი თამარს), ამისთვს რაოდენ განვჰცჳფრდებით, ეგოდენ საწუხარიცა მაქუს, და ვერა ვჰსცან, რაჲმე იყოს ესე? უკეთუ ნამდჳლ გლახაკი არს იგიცა იგი, მაშა ვინ მისცა მას ძჳრფასი ესე ბეჭედი, უკეთუ ჰპოვა სადამე და მომიკლიან მე სასყიდლად, მა

არცამცა იკლტოდა ამი; რ და ელოდამცა ჩემ მიერ ფასის მიღებასა, ვჰფიქრობ, რათამცა არა იყოს ამას შინა ვითარიმე ხელოვნება ცბიერებისა. მსმენელმან თამარ, განიღიმა და მოახსენა: დედოფალო ჩემო! რა გჭირსთ მაგისთჳს და ანუ რად ოურვით? უკეთუ კაცი იგი ნამდვილი არს გლახაკი, ჭჳალადცა მოვალს აქა, მაშინ უბოძეთ ფასი მაგისი. და უკეთუ სხუა რაიმე ვერაგობა არს, მას მიერ თქუენ არა რაიმე გევნების: განა უკეთუ მომცემთ ნებას, გიკადნიერებ მოვახსენოთ მცირედი თქუენდა სასარგებლო და რათამცა არღარა გაქუნდესთ არა ვითარიმე ფიქრი და შიში საფრხისა, რომლისაგანაცა იკრძალვით: ჰრქუა სითიხათუნ, ჰსთქჳ რაიცა უწყოდე: მაშინ თამარ იწყო და ეტყოდა ესრეთ: დედოფალო ჩემო! მე საკმაოდ გიცნობ, რამეთუ ბეჭდოსა მას მოვლინებისათჳს გაქუსთ იგჳ, რათა არა ვერაგობითა მოქმედინებინოს რომელსამე დიდებულთაგანსა მეფიებელსა ხელის შენისასა და აქა აწმყოფთაგანსა. ისმინე დედოფალო, რამეთუ თქუენ მეუღლეობისა გარემიქცევისაგან არა თუ მხოლოდ მოხუცებულსა მამასა თქუენსა მწუხარედ-ჰყოფთ, არამედ სრულიად სამთავროსა მესხთასა ოხრად და უპატრონოდ დაუტევებთ, და მისცემთ მტერსა თქუენსა ცხადად წარსაწყმედელად; უწყით კეთილად რამეთუ ათაბაგი ბექა მარადის ეკითხების მამასა თქუენსა დაპყრობისათჳს სამთავროისა თქუენისა, და მარადის ელის აღსასრულსა მამისა თქუენისასა, რომლისაცა შემდეგ დაიპყრას მამული თქუენი,

ადრე ანუ გვიან; მიუცილებელად ესე აღსრულდე-
ბის; ვჰსთქჳათ ესეცა, რამეთუ თქუენ გსურთ შეს-
ლებაჲ დედათა მონასტერსა და ეკლესიის ჰყოფაჲ
იუწყეთ დედოფალო, მსმენელნი შეწყნარებისა შე-
ნისანი, მზრახვალთა დადებულთა მენი აღთქუმნებულნი
ბედისა შენისა მოვლენისათჳს, არა დაზოგვენ თავთა
თჳსთა და ერთაცა და ჰყოფენ დიდსა შრომასა და
სისხლის დათხევასა წარმატებისათჳს შენისა, და
მონასტერსაცა მას, რომელსა თქუენ იქმნებით
სრულად საუფლებითურთ აღავსებიან; ვჰსთქჳათ
ამისთჳს, რამეთუ მესხნი იყვნენ ფრიად მორჩილნი
და ერთგულნი თქუენნი და არა დაზოგვენ თავსა
თჳსსა თქუენდა დასაცველად და საერთგულოდ;
გარნა იგინიცა ითხოვენ რა უპატრონობასა თჳსსა,
თჳთ დაუმონებიან ზედა-მოსრულთა მათ მტერთა,
ვინადგან მათი მოლითავე შეიმუსრვის; მაშინ თქუენ
არადარა თავისუფალი იქმნებით, წარგვიყვანონ ანუ
დაგვიტევონ: ნუ შეაგინებ მტკიცესაცა მამისა შენისა
საფლავისასა შეურაცხებისაგან მტერთათა; მიეც ნება
მამასა შენსა აღმორჩევისათჳს მეუღლისა შენისა
ანუ თჳთ შენ ჰყავ აღრჩევაჲ მისი. რად ესეცა
ღმრთისა მიერ განჩინებულისა ამას საქმეს? არა ამის-
თჳს შექმნაა კაცი და მისგანვე დედაკაციცა, რათა-
მცა მათ მიერ განმრავლებულ-იქმნეს კაცთა ნათესავი,
მაშა უმეტეს ნება ღმრთისა ესრეთ არს, თქუენ რა-
სათჳს გარე-მიაქცევთ მისგან, ესეცა შესაძლო
არს, რათა ქმრისათანა მყოფსაცა გაქუნდეს შიში
ღმრთისა და დიდნი სათნოებანი; დედოფალო ჩემო!

მაშინ ბერი იგი ეტყოდა, დადუმებულთა მოაჯარე, მამათა მონასტრისათა მაწვიეს ოქროცხლამი ხლებსა და უოჰმელთა დღეის მოუყვარეთა ჯრთა მომართ, რომელთაცა დამეცხოვრებულთა ტაძარსა გაახლებაჲ სურისთ, ამისთჳს თხოვენ შეწევნასა შემდეგისამე-ბრ თჳთოეულისა; მაშინ აღუთქუა მთავარმან მიცემა ფასისა საკმარად ტაძრისა, ხოლო ასულმან მისმან დაჰსძინა, რამეთუ მზაარს იგი, რათამცა თჳთ მან მხოლომან განაახლოს ტაძარი იგი საკუთარის წარ-საგებელითა და არდარა საჭიროა ოქმნება სხოვათაგან თხოვნაჲ შეწევნისა, და ეტყოდა მამასა, რათამცა მისცენ მონაზონსა მას პალატსა შინა სადგური, ვიდრე რემდის დამშჳდდებისაგან გზისა განისუენოს მან და შემდგეგ აღასრულოს თხოვნაჲ მისი: უბრძანა მთავარმან მრავსა სახლისა თჳსისასა, და შეიყვანეს კოსმა სახლსა და უჩვენეს ყოველივე სახმარნი, ხოლო სითიხათუნ გმირად მივიდის მისდა და მზრა-ხაჲუნ სულიერისა ცხოვრებისათჳს და იგიცა ასწავ-ბდა და ეტყოდა ყოველსავე, სოფლისა ამის ამაოე-ბისათჳს; ვარნა ამცნებდა, რამეთუ ჭეშმარიტი მე-უდლეება და შჳდლიერება არს სათნოჲ ღვთისა, და ამისთჳსცა შობილან ვაცნი ქუეყანასა ზედა, ხოლო მონაზონი ვისმან განკრძალულ იყო ფრიად და ობეროსდა დადსა მოდჰაწებასა და გამოაჩინებდა თავისა თჳსსა ყოვლითურთ ბიწითაგან განწმენდილად:

მოიწივნეს წმიდანი ორმოცთა და იწყეს განმ-მზადებაჲ ზიარებისათჳს წმიდათა საიდუმლოთა, მთავარმან ასულით-ურთ და ყოველთა პალატსა შინა

მისსა მეუფეთა: და ვითარცა სითისათუნ ხედავდა კოსმასის დღე და ღამე ზედგომით ღჳთის მამართ მვედრებელსა ურიადის ღუაწლისა და მარხულობისა მიმართა მიდრეკილსა, ინება, რათამცა იწერას იგი სრულიერ მოძღუარად თჳსდა, ამისთჳს გამოცხადებულმან მამისა მიმართ მიიღო ნებაჲ. მოვიდა სადგურსა ბერისასა სითისათუნ და ეტყოდა: მამაო! მსურს მიღება წმიდათა საიდუმლოთა მომავალსა შაბათსა, და ამისთჳს აღგირჩიეთ მმოძღურად. გთხოვ აღსარება მათქმევინოთ და თჳთ თქუენ შეწირეთ ჯარის ეკკლესიისა ჩუენსა და თჳთ თქუენ მაზიარეთ. მამან კოსმან ქუე-მხედუელმან თჳალთამან მიუგო: დედოფალო, რად ისურვებთ ჩემ გლახაკისა და უმეცარისა მონოზონისა დიდებულისა გჳამისა თქუენისა მოძღურად ყოფასა? ჰრქუა სითისათუნ: და ღუაწლნი თქუენნი მომეცემან იმედსა, რამეთუ უკეთუ თქუენ თქმნებით მიმსჯელი აღსარებისა ჩემისა, სთხოვთცა ღმერთსა მოტევებისათჳს ცოდვათა ჩემთასა. მოვიდა ბერი იგი და დაჰხშნა კარნი, და მოიქცა სითისათუნისა და მოიდრიკნა მუხლნი და ჰრქუა: ეჰა! ქუეყნისა მანათობელო, და ყოველთა ცთომილთა ვარსკულავთა უმცხინვარესო! მომიტევე გულკრძალულებით კადრნი ჩემნი, აღვიარებ აწ დაუფარავად, რამეთუ მე არა ვარ მონაზონი, არამედ ვარ რანის ერისთავის მეუე სახელით ყამარბეგ, მსმენელი შენის შუენიერებისა წარმოვედ მამულით ჩემით და ესე მეექუსე წელი არს, ვინადგან ვიმყოფები ქალაქსა ამას; და სურვილისა შენისა ცეცხლით

აღტყურნებული გული ჩემი დაღონებილ-არს, ვითარცა ცვილი მოიგონეთ ოდეს მე გლახაკისა სამოსით მოსილი პირისპირ საჯდომლისა შენისა დავემხჳე ქჳეყანად, განკმასხა თანა საჯდომლისასა, ოდეს მე-ნით გიხილე ახლად განდიდებული და ერთისა ოდენ ზერანგისა სამარ: რომლისა გამოკრთომილმან ნათე-ლმან მყო უგონოდ: მოიხსენეთ ესეცა, რამეთუ ბრილიანტისა იგი ბეჭედი კოცონისა ზეცისასა დამამშჳდი და მონისა თქჳენისა მიერ თქჳენდა მორთმეული სახელითა გლახაკისათა, რომელსაცა უზომო სანოვაგე და ძღუენი, თჳთ მე იგი ვარ და ბეჭედიცა იგი არს ჩემი; ხოლო ვინაჲდგან ვერა რომლითა ღონის მიერით შემძლებელ ვიყავ დასხ-ლოებისა თქჳენისათჳს და საკუთარ მცნობელმან, რამეთუ თქჳენ ყოველთა მთხოველთა ჴელისა შე-ნისათა გარე-მოიქცევი; ამისთჳს მეუწყა, რამეთუ თქჳენ ურიად ჰსწყალობით მონაზონთა, ვითარცა აწ მე თჳთ საქმით ვიხილე, ამისათჳს მოვიხელო-ვნე ესე მონაზონების სახისა შემოსა, რათამცა დავსხლოებულ-ვიყავ თქჳენდა: აწ სჳწმან ჩემმან მომცა მე ესე შემთხვევა, ანუ აწვე მომკალ ჴელითა შენითა, ანუ მომეც ჴელი შენი, სითისათჳს ესო-დენ შეძრწუნებული კნინღა უგონოდცა იქმნებოდა უკეთუმცა არა განემხნო გული თჳსი, რამეთუ ჰხე-დვიდა თავსა თჳსსა ვითარცა კრავსა მგელთა შო-რის, რომელსაცა მიხდოდა ყოვლითვე ღონისძიებაჲ და იტყოდა თავსა შორის თჳსსა, უკეთუ არ მიიხსცე ჴელი ჩემი, ნუთუ უძჳრესი რაჲმე შემემთხჳოს,

უკეთუ კმა ჰყო მსახურთა, მაშინ მოუცილებელად მოკუდეს ჭაბუკი იგი მათ შორის, ანუ არცავაზისა მიერ, და ვიქმნე ზიარ კაცისმკვლელისა, ვინაიდგან თჳთ ისოვეთა ძისითა დაადგინა მამამან მისმან ბა-ლაცის თჳსსა: მომოკუცებულმან ფიქრითა ამით ჰრქუა ყამარზეგს: ისმინე ჭაბუკო, უკეთუ არღარ ასსავ კუალისთქმათა შენთა და კრძალულებით იპყრობ თავსა შენსა, რათამცა არ შეაგინო უბიწოებაჲ ჩემი, ჭეშმარიტად სიტყჳთ განწმუნებ, რამეთუ მოგცემ კელსა ჩემსა და იქმნე-იცა ქმარი ჩემი, და უკეთუ ჰყო ვითარცა უხამსი და უშუასაბამო განზ-რახვა, აწვე მოკუდე და მეწლარა განერე ცოცხალი ამიერ, და ვინაიდგან მეცა დადებულ ვიქმნენით სია-ჭუცლ სახასროებულად, თჳთ შენთანავე მოკლულა თავი ჩემი: მაშა ნუ განხვალ საზღურართაგან პატი-ოსნებისათა და აწვე განვედ ფარულად დაჲსა, და იჳლტოდე; მოუკლინე მამასა ჩემსა მოციქული და სთხოვე თავი ჩემი, გამლევ საღმრთოს ფიცსა რამეთუ მეცა შერთჳსა შენსა ზედა მივსცე თან-ხმობაჲ. მაშინ ყამარზეგ სთხოვა კელი სითიხათუნს, ამბორს ჰყო, განვიდა გარე. და გან-ვიდა სითიხათუნ მორთოლარე და კნინდა სიცოცხ-ლე მიხდიდი, შევიდა და დაეცა ტახტსა და კნინდა ერთს ჟამს სული ველად დაიდო: ხოლო ყამარზე-გცა იჳლტოდა სასახლით სადგურსა თჳსსა სახლსა გურამისასა, რომელმან ყოველივე აუწყა გურამს რაჲცა შემთხჳა; ხოლო გურამ აცნობა ასულსა თჳსსა თამარს.

მეორეს დღეს მივიდა სოფიხათუნისათანა და უბრძანა თამარს დაჯდომა ახლოს თჳსსა და ჰრქუა: მაქუს რაიმე საიდუმლოდ შენდა სათქმელი, გიცნობ რა ერთგულად ჩემდა და ხარ ჩემთანა თანა შეზრდილი, ამისთჳს გამოგიცხადებ საიდუმლოსა გულისა ჩემისასა და შენდა ჯერ არს დამარხუაჲ მისი დრომდე: მიუგო თამარ: ჴელმწიფეო ჩემო! ესე ოცი წელი არს ვინადგან თქუენ გახლავარ და თავი ჩემი შემოწირული მაქუს, რათამცა ვიდრე უკანასკნელს აღმოფშჳნვადმდე ვიყო სრულსა ერთგულებასა შინა თქუენსა, ჰგონებ არცა თქუენ გახსოვდეთ, რათამცა საიდუმლოჲ თქუენნი მრავალ-გზის ჩემდამო რწმუნებული განმეცხადებინოს, და აწ ვითარ იჭუნეულებთ ჩემზედა, ირწმუნეთ, რამეთუ ყოვლითვე ბრძანებული თქუენ მიერ ჩემდამო, დამითვების ფარულად, და ერთად ჩემთანავე იქმნების დამარხული საფლავსა შინა. მაშინ სოფიხათუნ ჰსთქუა, იხილე შენ მონოზონი ყოსმა, რომელი მოვიდა თხოვად ვითარმცა მოწყალებისა განახლებისათჳს გარემოს მონასტრისა? ვითარ იყო იგი მიღებული მამისა ჩემისა და ჩემგანაცა პალატსა ჩუენსა, რომელმანცა გამოაჩინა ფარული მოღუაწებანი და მლოცვაობანი, რომელთაცა არათუ ოდენ მე და მამაჲ ჩემი, არამედ ყოველნი მხილუელნი განცჳფრებულ-ჰყუნეს. ხოლო მე წმიდასა ამას ორმეოცესა განმზადებულსა მიღებისათჳს წმიდათა საიდუმლოთა, მენება ღირსისა მის ბერისადმი აღსარებისა თქმა, რათამცა განმეწმიდა ლოცვითა ბერისა მისისათა მსოფლიონი.

ცოდვილნი ჩემნი; ამისთჳს ვაუწყე მამასა ჩემსა და ვჰსთხოვე ნების მოცემაჲ, ხოლო მანცა ინება სურვილისა ჩემისა აღსრულება. მივედ ბერთან და გამოუცხადე სურვილი ჩემი, მან პირველად ცბიერებით გამოაცხადა თავი თჳსი უღირსად მოძღჳრად ყოფისა ჩემისათჳს, გარნა შემდეგ აღსდგა და დახშნა კარნი სახლისანი, და ოდესმე მეგულვებოდა მუხლთ მოდრეკა, მაშინ თჳთ მომდრეკელმან წინაშე ჩემსა მუხლთამან მაპყრა კელი და მჰრქჳა, რამეთუ იგი არა არს ნამდჳლი მონოზონი, არამედ სიცრუით შემოსილი მონოზონთა სქემითა, და რამეთუ არს იგი მეჲ რანის ერისთავსა ყამარბეგ, ვითარმედ შერთჳსა ჩემისათჳს მოსრული, იწყო სხჳა და სხვათა მლიქჳნელის ლექსებით საუბარი და მთხოვა კელი ჩემი. ხოლო მე განსრული გარე ცნობათაგან შიშით და სირცხვილით, ვჰკვედვიდი თავსა თჳსსა, ვითარცა კრავსა მგელთა შორის, და უკეთუ დამეყვირნა, მაშინცა ვერ განვერებოდი ერისა ცილისწამებასა და იჭჳსა: ამისთჳს აღუთქჳ მას, უკეთუ დამიტევებდა მე შეუგინებელად, მივსცე კელი თჳსი და ოდეს სთხოოს თავი ჩემი მამასა ჩემსა, გამოუცხადო თანხმობა შერთვისა მისისათჳს. იგიცა მეთანხმა; მთხოვა კელი და ამბორს მიყო, ამით უკუე განვყარენ თავი ჩემი ცხადისა უბადრუკებისაგან, და მასცა ვამცენ მუნით ფარულად წარსვლაჲ: ხოლო ოდეს მეორეს დღეს მამა ჩემი იკითხვიდა ბერსა მას, დავარწმუნე იგი, ვითარმედ წარვიდა იგი აქაურთა სამღჳდელოთა ხილვად და ესე ვითარის სახით

იგიცა განწირებულ-იქმნა ცხადის სიკუდილისაგან.

მსმენელი ამისი თამარ ეტყოდა ქალსა მას: კეთილ-მწირველო! მე ადრევე ვუწყოდი ჭაბუკისა მის მოსლვა ქალაქსა ჩუენსა, რომელიცა ჰსდევს სახლსა მამისა ჩემისასა; მრავალგზის ჰსთხოვდა იგი მამასა ჩემსა, რათა მან მითხრას მე, ვითარმედ გამოვიცხადოთ თქუენ შეერთებაჲ მისი, რომელიცა აღმითქმიდა თხოვასაცა ჩემსა მისთჳს თჳსისა, და მასთანავე მამასა ჩემსა მრავლის საუნჯის მიცემასა; თუცა მამაჲ ჩემი მეტყოდა მე ამისთჳს, გარნა სრულიად გარემოვაქცევდი თხოვასა მისსა, და მეცა ვერ ვიკა-დრებდი თქუენთან გამოცხადებასა მისსა. სითიხათუნ მსმენელი ამისი არა რაჲმესა ეტყოდა, გარნა იჩე-მა ავადყოფნა, და მის გამო უზიარებლად დაშთენა, რათამცა მამასა მისსა არა ეემულებინა ქალისა მისთჳს გამოცხადება, რაჲსათჳს იგი არღარა ეზია-რა წმიდათა საიდუმლოთა?

მეორეს დღეს მოვიდნენ მოციქულნი წუნარის ერისთავისანი, თხოვად ასულისა არტავაზისა, მის ნასარისათჳს, რომელიცა მთავარმან მიიღო პალატსა; მისრულთა მათ თაყუანის-ჰსცეს არტავაზს და მოახსენეს, რამეთუ ერისთავმან მათმან იოხსებ მიავლინნა წინარე მისსა და სთხოვა ცოლად ასული მისი მისა თჳსისა ნასარისათჳს. მთავარმან უბრძანა სახლის უხუცესსა თჳსსა მიცემა მოციქულთა მათ სადგურისა და ყოველისავე სანოვაგისა, აღუთქუა მათ პასუხის მიცემა მეორეს დღეს.

შემდგომ არტავაზ შევიდა სითიხათუნთან და ამცა-

ნო მოცემულთა წუნანის ერისთავისათა მოსვლა და თხოჳლა მისი ცოლად მისა თჳსისათჳს. ხოლო სოთისათუჳნ არარაჲ მიუგო, ვიდრემდის მამამისი შეწუხებული მის მიერ უპასუხობისათჳს გამოვიდა გარე.

მეორეს დღეს ყამარბეგ მოიღო ქაღალდი და სა-წერელი, და მისწერა წერილი არტავაზს, რომელსაცა წერილი იყო ესრეთ:

## დიდებულსა მთავარსა არტავაზს.

რანის ერისთავის ძეჲ ყამარბეგ, ისურვებს თქუენთჳს მშჳდობასა და მოვიძღუნის მეგობრსა სიყუ-ვარულსა და პატივის ცემსა განვიცხადებ დიდებუ-ლო მთავარო! საყურისთოსა ჩემსა მოისმა ჰამბავი შუენიერებისა ასულისა თქუენისა სოთისათუნისა: აღტყინებული სურვილით მოვიწიე ქალაქსა თქუენსა და ესე მეათესე წელი არს ვინადგან ვიმყოფები: მრავალთაგან მესმის, რამეთუ ასულსა თქუენსა არა სურდეს მეორეჲ ქმრისა, მე ამისაგამო დავაყოვნე გამოცხადება სურვილისა ჩემისა წინაშე თქუენსა: მე ვჰსცან აწ, რამეთუ წუნანის ერისთავი გთხოჳს მისათჳსისათჳს; ამისთჳს ვიკადნიერე წერილი-ა მო-რთმევა და გამოცხადება სურვილისა ჩემისა: ვინა-დგან უწყით თჳთ თქუენ, რამეთუ ხარისხითა და უპირატესობით აღმატებული არს საყრისთო ჩემი და მამაცა ჩემი წინაშე მეფეთა საქართუელოსათა უძღუეს წუნანის ერისთავის პატივცემულ-არს

და შორის მთავართა ივერიისათა, მამული ჩუენი არს უპირველესი სამთავრო და საერისთოცა: ამის-თჳს მოუხდელის იმედით ვეგები, რამეთუ თქუენ მომცემთ ასულსა თქუენსა ცოლად, და შესაძლო არს, რათამცა თჳთ ასულიცა თქუენი იხოუასაზე-დან ჩუმსა იქმნების თანახმად: და მშვიდობა შენდა.

## რანის ერისთავი ყამარბეგ

წერილი ესე მისცა დიდებულსა თჳსსა ყამარბეგ და უბრძანა მიართუას მისი არტავაზის მიმართ; რომელმანცა წარიღო და მიართუა იგი: ხოლო არტავაზ იმედების სახით ეტყოდა მოციქულსა ყამარბეგისსა, რათამცა შემდეგ სამის დღისა მივიდეს პასუხისათჳს, და წარვიდა კაცი იგი, რომელმანცა აუწყა ყამარბეგს.

არტავაზ წარიკითხა რა წერილი ყამარბეგისა მისცა იგი მონასა და მიუგლინა ასულსა თჳსსა რომელმანცა წარიკითხა იგი, მოეხსნა ფიცი იგი, რომელი მისცა სითისათუნ, და ფიცისა მის დაურდგეველობის შიშით აღიღო კალამი და დასწერა წიგნსა მას ზედა, რამეთუ იგი თანახმა არს შეერთოს ყამარბეგ; მისცა კუალად მონასა მას, ხოლო მან მიართუა მთავარსა: და ვითარცა იხილა არტავაზ ზედ წარწერილი იგი, განცჳფრდა ფრიად და სიხარულით აღსდგა და შევიდა ასულისა თჳსისათანა და ეტყოდა, ვმადლობ ღმერთსა, რომელმანცა შთაგითხრა შენ აღრჩევა ქმრისა, შჳლთა ჩემთა,

ამიერიდგან მცხოვანებაჲ ჩემი იქმნების განმკცო-ცებულ და კნინდა განძარცულების, რამეთუ ვხედავ თავსა შენსა ზედა გჳრგჳნსა, ვხედავ მეუღლესაცა შენსა და მემკჳდრესა სამთავროჲსა ჩემისასა. გარნა გევედრები შენ შჳლო ჩემო, მაუწყე ესე, რაჲმან შენ გაიძულა აღმორჩევა უამარზეებისა, ნუთუ გიხილავს სადამე? მიუგო ასულმან: მამაო, თჳთ თქუჱნ ხართ მიზეზი იმედებისა თანხმობისათჳს შერთჳასა ზედან უამარზეებისასა, ვინადან თქუჱნ მოცთუნებულმან მზაკვრებითა მისითა დაადგინეთ იგი ბადალსა თქუჱნსა, ვითარმცა მონაზონი, და ყო-ველივე ზემოწერილი, რაჲცა შემთხუა სითიხათუნს თჳთოეულად აუწყა მამასა თჳსსა და დაჰსძინა, რამეთუ მიცემულისა მის მიე უამარზეებისადმი მტ-კიცეს ფიცისა ვერღარა შეიძლო დარღვევა და ამისთჳს გამოაცხადა თანხმობაცა.

არცავაზ, მსმენელი ამათ ყოველთა, აღივსო გულისწყრომით და იყო ბასრობა ქალისა თჳსისა გამოუცხადებლობისა მისისათჳს და ჰყვედრიდა, რამეთუ თჳთ მან აქამომდე დაჰფარა ესე ამისთჳს, რათამცა ჰქონოდა საიდუმლოდ ნახვა მასთანა, და განრისხებით ეტყოდა სითიხათუნს, რამეთუ იგი არღარა დააყოვნებს გათხოვებასა მისსა, მოუწოდა მოციქულთა წუნანის ერისთჳსათა, დაჰსწერა წიგნი და მიუვლინა იგი ოსებს და აღუთქუა მიცემა ძისა მისისათჳს ასულისა თჳსისისა და სრულიად სამთავ-როჲსაცა და წარგზავნა იგინი; მაშინ უბრძანა მო-ხელეთა თჳსთა, წარსვლა ქალაქად და უამარზეებისაცა

მოუჴანებაჲ: ხოლო ასული თჳსი მიავლინა დედათ მონასტერსა კოლას და მისწერა იღუმენიასა დამარხვა მისი ვიდრე აქორწინოს.

მოვლინებულნი არტავაზის მიერ უამარბეგისადმი მივიდნენ, რომელთაცა განუცხადეს ბრძანება მთავ-რისა; ხოლო უამარბეგს ეგონა ვითარმედ მიწერი-ლისა მის მიერ არტავაზისა მიმართ წერილისათჳს სურს მას ხილვაჲ მისი და საუბარი, სიხარულით აღსდგა და წარვიდა, მისრულმან პალატსა იხილა არტავაზ და თაყვანისცა მას: ხოლო არტავაზ აღ-სდგა და მიმართა და ჰრქუა. შენ ხარა რეგჳშნო, ცრუ ივი მონოზონი, რომელმანცა შეურაცხებით იკადრე მონოზონების სქემისა შემოსვაჲ, რათამცა ვერაგობითა შენითა შეურაცხ-ჰქმნა პალატი ჩემი და შეგემწე-ჰკვლებინა მხოლოდ-მობილი ასული ჩემი? უწყოა უგუნურო, რამეთუ აწ თანამდებ ხარ გარ-დაისადო ყოველი ესე შენ მიერ მოწევნილი ჩემდა-მო უპატიოსნოებაჲ თჳთ სიცოცხლითა შენითა? დალაცათუ ხარ დიდებულის ერისთავისძეჲ, გარნა არ მივხედავ მე ამას, არამედ აწვე უბრძანებ თავის მოკვეთასა შენსა; უამარბეგ ვერარაჲსა მიმგებელი ბორგნეულისა მის მთავრისადმი, ჰსდგა განცჳფრებით მდუმარე: მაშინ უბრძანა არტავაზ მონათა თჳსთა წარუყვანა უამარბეგისა მსახურით მისითურთ საპყრობილედ და დაკრძალვაჲ მათი ხუნდსა შინა; მსახურთა მსწრაფლ აღასრულეს ბრძა-ნება და პატიმარ ჰყუჱს უამარბეგ საპყრობილესა და მონანიცა მისნი.

მიავლინა იოსების მამართ სახლის უხუცესი თვისი და შეუთვალა, რათა მან მოავლინოს ძე თვისი ნასარ, რომელმანცა იქონიოს ასულსა მისსა ზედან: მიჯნურებულმან მან აუწყა იოსებს; ხოლო მან წარმოგზავნა ნასარ ძეჲ თვისი დიდებულებითა თვისითა და მრავლისა სიმდიდრითა საქორწინოდ: და ვიდრემდის მოიწყოდნენ იგინი არტანუჯს, წარვიდა არტავაზ კოლას ასულისა მამართ თვისისა: და ვითარცა შევიდა იხილა იგი ფრიად მწუხარე და დაფიქრებული, მაშინ ჰრქუა მას არტავაზ, სითიხათუნ, ჯერ-არს განემზადო შენ საქორწინოდ, ვინადგან შემდგომად ორისა დღისა მოვალს ნასარ: სითიხათუნ მიუგო, მამაო, ნუ მაიძულებ ქორწინებას, რამეთუ მე ადრითვე გამომირჩევიეს. უმეუღლეოდ ყოფაჲ და ცხოვრება ესე, სადაც აწ ვიმყოფები, სადა შემოსვლასათანავე ჩემსა აღუთქჳ ღმერთსა, რათამცა სიცოცხლეჲ ჩემი დავასრულო აქა ენკრატისობასა შინა, გევედრები მამაო, ნუ მიმცემ წარწყმედასა და ნუ ინებებ ჩემსა ქორწინებასა: არტავაზ არცა თუ მცირედ შესმენილმან ვედრებათა ასულისა თჳსისათა, უბრძანა იდუმენიას, რათამცა განმზადოს ქალი იგი და ოდეს მოუწოდოს მიავლინოს იგი პალატად.

მოიწია დანიშნული დღე და მოვიდა ნასარ მრავლის ერითურთ არტანუჯს, აცნობეს არტავაზს, ხოლო მან იწვია იგი პალატსა თჳსსა, სადაცა განმზადებულ იყო ცალკე სახლი სადგურად სიძისა მის; მისრული ნასარ პალატსა მიავრისასა გარდას-

და ცხენით, შეუძღვნენ მანდატურნი მოაჯირისანი და შეიუყვანეს სიმამრისათანა, სადაც არტაყაზ მოეგე-ბებულმან მიიღო იგი სიხარულით და ამბორის-უყოფით და დაიხვა გვერდით თჳსსა და მიუჩენს ჩუ-როჰა და განცხრომა. და ვითარცა ხვალისად მზუ-ლდვებოდათ ქორწილი, მივლინა არტაყაზ ასულისა მიმართ და უბრძანა იღუმენიასა მოყვანება დამესა მას სითიხათუნისა პალატსა. ოდეს მივლინებულთა მათ აუწყეს იღუმენიას და სითიხათუნს წარსლჳს არტანუჯს: აღივსო გულისწყრომით ქალი იგი, და განიზრახა საქმე ბოროტი და საცთური, რომე-ლსაც შემდგომ ისმენთ, გარნა დაჰფარა გულსა თჳსსა და არავის გამოუცხადა იგი: წინადადება იღუმენიასი განმზადებისათჳს და წარსვლისა გარე მოქცეულ ჰყო, მიიღო ქაღალდი და მისწერა წერილი მამასა თჳსსა ესრედ:

უსაყვარლესო მამაო.

ვინადგან აღრითგანვე და ვიდრე აქამომდე თხოვაჲ ჩემი, სრულიად გარე მოაქციეთ და არღარა მოიხ-სენეთ პირველი თქუენი სიყუარული ჩემდამომართ, და სხვის მიზეზითა მეავთ მე მოძულებულ და მამო-ბრივთა სიყუარულთა თქუენთაგან განშორებულ, რომელსა შორის მე სრულიად არა ვჰრაცხ თავსა ჩემსა არცა თუ მცირედ ბრალეულად; უკანასკნელ გთხოვ, ნუ მოაიძულებ მამაო და ნუ მაწვევ ქორ-წინებასა, რამეთუ გული ჩემი ყოვლადვე განშორე-

ბუღოარს მსოფლიოთა გულისთქმათაგან. ნუ ჰგონებ მამაო სამართლად თანჴმობასა ჩემსა ყამარბეგის შერთვისათჳს, რამეთუ მე აწ დაუფარავად აღვიარებ, ოდესცა თქუენ ინებებდით მოთხოებასა ჩემსა მისდამი: მოუცილებელად მიიღებდა იგი ჩემ მიერ მზაკჳრე-ბისა თჳსისა სასყიდელსა და გარდიხდიდა მას სის-ხლითა თჳსითა, ვინაცა ჩემი ყამარბეგისადმი იყო მიცემულ სახსრად თავისა ჩემისა და განსარინებლად უბიწოებისა ქუემოდ მისდა მოსალოდებელის შე-გინებისაგან, რომლისაცა კულთა უნებლიედ მივეც თავი ჩემი, მოცთუნებულმან მზაკჳრებითა მისითა. გარნა არა წინააღმდეგ ქითხჳსა და ნებისა თქუენისა. მამაო ჩემო! განსაჯეთ აწ ბრალი ჩემი და ეგსახედ განმიკითხეთ; დაუფარავად აღვიარებ, რამეთუ მე არა ვიქმნები ნასარისათჳს სათნოდ მისდა ცოლი, და სიცოცხლესაცა ჩემსა ვეცდები შევამოკლო, უკეთუ არა დაუტევებთ განზრახვასა თქუენსა და იძუ-ლებასაცა ჩემსა.

## ახალი თქუენი სითიხათურ.

მისცა წერილი ესე მანდატურსა და მიუვლინა მამასა თჳსსა: არცავაზ წარიკითხა რა წერილი იგი, დაუფიქრდა ღრმად და არა უწყოდა თუ რაჲ ექმნა; მაშინ ეტყოდა თავსა თჳსსა, შესაძლოარს, რათა ასული ჩემი მატყუებდეს, ვინადგან ყამარბეგ ჯერე-დცა აქა ეგულვების: კუალადცა მოავლინა იდუმე-ნაისადმი და უბრძანა მოუყვანება სითიხათურისა

საქორწინედ: ხოლო წერილის პასუხი ასულის თჳსსა, არარაჲ მისწერა. ამცნო იღუმენოსმან სო-თიხათუნს და ეტყოდა წარსვლისათჳს; გარნა არა ეთანხმებოდა; უკანასკნელ შერქუჱა იღუმენოსს, რათა-მცა აღწეროს არტავაზს, ვინადგან არღარა მიიქცევა განზრახვისა თჳსისაგან და წინა-აღმდეგ ნებისა ჩე-მისა სურს მას ქმრის შერთვაჲ ჩემი: მაშა მოა-ვლინოს, მარტოდ ნახარ ერთისა ანუ ორისა მონით და მღჳდელითა, და დაუვარძვით დაიწეროს ჯვარი, წინა აღმდეგ, შეუძლებელ იქმნების მიხვლა სოთი-ხათუნისა ქალისა. აუწყა ესე ყოველივე იღუმენო-სმან არტავაზს. იგიცა ეთანხმა და უთხრა მისთჳს ნახარს, ნახარ წარიყვანა მეორეს დღეს მღჳდელი და ორნი ოდენ მონანი და მოვიდნენ კალასა, გარ-დახდნენ ცხენთაგან და შევიდნენ სახლსა იღუმენო-სისა. ხოლო სოთიხათუნ შეიმოსა საქორწინო სამოსელი, რომლისა შიგან შეირტყა მახვილი, გარნა უცნაურად ყოველთა, გამოვიდა და დაჯდა ნახარისათანა; შემდგომ მცირედისა განაღო მღჳდე-ლმან კარნი ეკკლესიისანი, აღანთნა სანთელნი და ყოველივე განმზადნა, რაჲცა ქორწილისათჳს იყვნეს საჭიროონი: მაშინ ნახარ, სოთიხათუნ და იღუმენოს წარვიდნენ ეკკლესიად: და ვითარცა შევიდნენ, იწყო მღჳდელმან საიდუმლო ქორწინებისა და შემდგომ დასრულებისა, იღუმენოს წარმოვიდა სახლსა სუ-რობისა განმზადებისათჳს, ხოლო იგინიცა გამო-ვიდნენ, და ვინადგან ბნელ-იყო, მღჳდელი მოუძ-ღოდა ახალ ქორწინებულთა მათ სანთლითა: გარნა

რომლისამე საჴორცოებისათჳს უკანვე შეიქცა მდჳდე-
ლი მჰკლესაჲ; მეუღლენი იგი დაშთნენ გარე
მჰკრეხისა ბნელსა მას ღამისასა: მაშინ ნასარ
უკრძალველობითა თჳსითა ჰრქჳა ხუმრობით სითა-
ხათუნს, აწ უკჳე მივიდე სრული უფლება შენზე-
დან, რამეთუ შენ არა გსურდა შერთჳაჲ ჩემი,
არამედ უამარჩევისა, ორნივე ეგ ჴართ ჴელთა
შინა ჩემთა, და რაჲცა გინებო მას ვჰყოთ. სითა-
ხათუნ შეურაცხელმან სიტყჳსათა ქმრისა თჳსისათა
მართლ-სიქადულად და ნამდჳლ მგონებელმან მჳრის
ყოფისა თჳსისამან, გარნა წინადვეცა განმზრახმან
ნასარის სიკჳდილისათჳს, იხადა მახჳლი და ჰსცა
გულსა ქმრისა თჳსისასა, მოკლა უბადრუკი იგი და
იუდიტოლა მის მიერ ადრევვე საცნაურსა ადგილსა,
სადაცა მიუფარა. მდჳდელმან გამოსულმან მჰკლე-
ხიით, მოინახა სანთელი და იხილა ჭაბუკი იგი
მკჳდარი და განგმირული მახჳლითა და მახჳლიცა
იგი მუნვე მდებარე; ხოლო ქალი იგი არღარა
მყოფი მუნ; განსწრულმან გარე ცნობათაგან თჳსთა
სიმჴნელეებითა ამით, შეჰყჳრა ჴმითა დიდითა, მეყსეუ-
ლად გამოვიდნენ იდუმენი და მონანი ნასარისანი,
იქმნა საშინელი გოდება და ტყებაჲ, აღიღეს
მკჳდარი იგი და შეიტანეს სახლსა და დაზღჳეს. მოაკლო-
ნეს ერთი მათ მონათაგანი და აუწყეს არტავაზს ყოვე-
ლივე; მაშინ არტავაზ, აღიპარსა თავი და დაისხა
ნაცარი და იწყო მწარისა ჴმით ტირილი და ტყებაჲ;
შემოკრბნენ ყოველნი ნასარისათანა მოსრულნი
ქორწილსა დადებულნი და თჳთ არტავაზ მხოკელნი

პარისა, ომათა და წყეროთანნი მოაგიდნენ ქალაქს; არმადამის გამოვსთქვა მწუხარებაჲ მათი, რამეთუ ვერცა სიტყვითი ითქმის და ვერცა რომელი კალამი შემძლებელ არს აღწერად მწუხარებათა მათთა: გარნა მოკლედ გეტყვით, უზუსთავსის პატივითა შეამკვეს ლუსკუმა და შთასვენეს გვამი ჯაბუკის ნასრისა და წარიღეს წუნანს და დაჰფლეს სამარხოსა წინაპართასა. ხოლო არტავაზ აღზორგებული ასულსა ზედა თჳსსა, ეტყოდა მონათა და მსახურთა თჳსთა, რათა მოიძიონ სითიხათუნ და შეკრული მოგვარონ მას. წარსრულთა მათ ვერა ჰპოვეს იგი, რამეთუ დამალულ იყო ნაპრალსა კლდისასა. ქნინდა შეუალსა.

არტავაზ განრისხებულმან და ფრიად მწუხარემან ესე ვითარის უბადრუკებითა, ურძანა მოყვანებაჲ ყამარბეგისა საპყრობილით და წარდგინებაჲ წინაშე თჳსსა: და ვითარცა წარმოიყვანეს იგი, ყოველნი ჰგონებდნენ, რამეთუ ყამარბეგს უეჭუელად მოჰკუეთდა არტავაზ თავსა, შეუდგნენ მრავალნი გზასა ზედა ხილვად აღსასრულისა. და ოდეს წარადგინეს წინაშე მთავრისა, შეხედა არტავაზ რისხჳთ და ჰრქუა მას: აწ მეგულვების წარწყმენდაჲ შენი ესრეთ, ვითარცა შენის მზაკუვრებითა წარსწყმინდენ ასული ჩემი და ჯაბუკი ნასარ; გარნა გჳსწყალობ სიჭაბუკესა და ჰაეროვნებასა შენსა, და უფროს პატივს გცემ მამასა შენსა ფადალას, რამეთუ არის იგი მოყუასი ჩემი: ხოლო მიგავლენ შენ მამისა შენისა მიმართ და ვაუწყებ ყოველსავე სიბოროტესა შენსა

და უპატიოებასა შენ მიერ პალატისა ჩემისასა, და სრულიად აღმოფხვრასა საფრხეთა შენთა ორთა დიდთა სამთავროსათა. უმარწმუნე მოყვრო, მთავარო! მე არ ვარ კადრთა შინა შენთა და რაჲცა სათნო-გიჩნს, იგივე ჰქმენით. მაშინ არტავაზ, დასწვრა წიგნი ფალადას მიმართ და ყოვლივე თჳთოეულად აუწყა, რაჲცა უმარწმუნე ჰყო, და ვითარ ასულმან მისმან მოკლა ქმარი თჳსი მიზეზითა მისითა, მისცა წერილი იგი ერთსა დიდებულსა თჳსსა და უმარწმუნე შეკრული მასთანავე მივლინა.

ხოლო მივლინებულნი არტავაზისა მიერ მიებად ხითოხათუნისა, არა დასცხრებოდნენ ძებნისა მის-გან, ერთმან უკუე მათგანმან მიწევნილმან ნაპრა-ლსა მას კლდისასა, სადაცა დამალულ იყო ხითო-ხათუნ, იხილა იგი შიმშილით მოუძლურებული და ფერმიხდილი, რამეთუ არღარა იხილვებოდა სი-ქეთე პირისა მისისა, ვინადგან ორმეოცსა დღესა თჳნიერ ველურთ მდელოთა და ძირთა მათთა არარაჲ მიეღო: კმა უყო მოყუასთა თჳსთა და მისრულთა მათ გამოიყვანეს ქალი იგი, სრულიად უძლურ ქმნილი, ვიდრემდის მივლინებულნი იგი სტირო-დნენ უპატიურობისა მისისათჳს და მოკლებისა შუენიერთა სახეთა მისთა და ფერისა, რომლისაცა შუენიერებისა მსმენელნი მრავალნი დიდებულნი მოიწივნენ და ხილვისა მისისათჳს წარაგებდნენ ფრიადსა საუნჯესა. მაშინ მოიღეს კაცთა მათ სანოვაგენი და მიართვეს ქალსა მას, ევედრებოდნენ, მიღებასა მისსა, რათამცა განემტკიცებინა ძალითჳსი:

გარნა არარაჲ მიიღო, უბრძანა წარუჴანა თჳსი ეგრეთვე, ვითარცა მათდამი მამისა მისისაგან ბრძანებულ აქუნდათ; ხოლო მონანი იგი, ვერ იკადრებდნენ ჴელისა შეხებასა და ზდგნენ წინაშე მისსა კრძალულებით მკჳდრეულნი რათა წარვიდნენ მათთანა მაშინ ქალი იგი მტყოდა, უკეთუ არა გსურთ თავთა თჳსთა სიკჳდილი, მაშა აღასრულეთ ბრძანებული; მას ეგონა; რამეთუ ჰპოებდნენ რა კაცნი იგი, თანამდებ იყვნენ მოკლვად იგი. ხოლო მათ მოახსენეს: ღელოვალო, ჩჳენდა ბრძანებულ-არს, რათამცა შეკრული წარვადგინოთ წინაშე მამისა თქჳენისა; უბრძანა სითიხათუნ მოღებად თოკისა და შეკრვაჲ ჴელთა თჳსთა, გარნა მონანი იგი იკრძალვოდნენ და მისითა იძულებითა მოიღეს თოკი და ხარისნი იგი ჴელნი შეუკრნეს და წარუყჳანეს.

(დასასრული იქმნება შემდგომს წიგნში.)

---

## დაფლვისა სიტყუა, ბრწყინვალეს თავადს პოლკოვნიკს ივანე ლუარსაბის ძეს თარხან მოურავიანსა ზედა, 1856 წელსა, მაი-სის 5 დღესა. (*)

---

ესრეთ, მოხუცდა მრავლის ჟამითგან მოლოდებულოთ ჩემთ? მშჳდობით ისაგრძე საგრობა შენი სატრფოა-ლოთა სულისა ჩემისათ? მგოდენსა სიმართლესა დი-დებანდიის გზისასა უცნებელად მოიწია სამკჳდრე-ბელსა ამას შენსა? და რად დამაბრკოლე ესოდენთა წელთა საწადელი ხილუა ნათლისა პირისა შენისა? ნუთუ სიგრძემან გზისამან შეგამთხვია დაბრკოლება რამე და ამისთჳს დაიყოვნე? ესერა მოგეგებები და მოგიკითხავ შენდა შემსჭუალულითა გულითა, და მოგილოცავ, კურთხეულ-არს მშჳდობით მოსლვა შენი საყუარელო!

გარნა რად ჰსდუმ და არა რას მომიგებ? ნუთუ

---

(*) ეს სიტყუა მოგჳაწოდა უფ. სავინელმა, რომელმანცა წარმოგზავნა რედაქციაში თჳსის შენიშვნით. რ.

გულ-მწყრალ რადმე ხარ ჩემზედა, რომელი ესე უცხო არს თჳსებისა შენისა! აჰა გეჰრახვები სიყრმითგანვე შენით შენგან შეუყვარებელი სარწმუნო მეგობარი შენი, რად არა მომიგებ მე ჩუეულებისამებრ შენისა მხიარულებით პასუხსა? გარნა ჰსდუმ! — ვაიმე, ვაიმე; გხედავ შენ უხმოდ და უძრავად მდებარესა! ვაიმე, დაშრეტილ-არს საღრმოთა სიყუარულითა მარადის მოციანარე ლამპარი ქუათახევის მონასტრისა! (*) ვაიმე, დადუმებულ-არს სამარადისოდ

(*) ქუათახევის ღვთის-მშობლის მიძინების მონასტერი აღშენებულ არს მეფე დავით მესამე აღმაშენებლისა-მიერ, 1126 წელსა, და დადგენილ იყო დედა-მონასტრად. ქუათახევად წოდებულ არს მონასტერი ესე სიმრავლეთაგან ქუათა, ხეობისა მისისა. მდებარეობა მისი არცა ღირსსა ქებისა, და თითქმის, შეგვიძლიან ვსთქვათ, თუ ბუნებასა დაუწყებია ადგილი ესე სამონასტროდ, საუდაბნოდ. ღირსება ადგილისა ამისა აღწერილ არს მეტად გახუშტისა მიერ: «და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი, ზამთარს თბილი, გარემოს მთატყიანი.»

მონასტერი ესე, მოთხრობისამებრ ისტორიისა, იქმნა აოხრებულ ჰურჯულო ლანგთემურისამიერ, რომელმან აოხრა საქართველო მჳდგზის. ბარბაროსებრიული მძვინვარება მისი აღწერილ არს მრავალთა მწერალთაგან, მაგ. გრანოვსკი-

ღრმთის მიუწვდომელი ენაო! ყოვლთა, დაბმულ-არსთაგან ღმრთისად მეუფსალმუნენო ზეცენო! ჩასახედ ძალი და იმედი ჩემი, და დაკვირთი მე მარტოდ ღ გითარცა ხილი მოლოდე სარწმუნოსა ზედა, და გითარცა ბუ ნაცამალსა ამის სავანისასა!»

---

ხ ა ჯ ა ნ. აოხრება ქალაქთა, ციხეთა, მონასტერთა და ეკკლესიათა იყო მისთვის ჩვეულებითი საქმე. მოლოდნელ მეუსევისა და დარბვისა შინა ქრისტიანეთა ემოეგბოდა იგი სისხლისა. მონოზონთა ქუთაისხევის მონასტრისათა მიიღეს მისგან წყალობითი სიყვარული ქადასტანისამებრ. მან მიარევაკადა მეწვევანი იგინი მონასტერსა შინა, შეასხა მუკანნი და უკანასკნელ განმოსწყვა იგინი, «ვით ჩვენს დღეობათოაესა, ეს და ფერმულისოჭინოაან.» ესრეთ მსტროვლნენ ნეტარნი იგინი, დროსა მოწესაგებისასა.

შემდეგ დედამონოზონთა ამოწყვეტისა, ამ მეუსეულთა მაცხოვრის მოსავის დაწვითმოდევისაგან, რომელსა ესწავლა ძალით განვრცელება მაცხოვრის სარწმუნოებისა, ქუთაისხევის მონასტერსა შინა დაემკვიდრნენ მდედულ-მონოზონნი. ხოლო სრულებით განუქმდა იგი 1821 წელსა. ამ წლითგან აქამომდე არღარა ისმოდა აქ ხმა არცა დიდებისა, არცა გოდებისა მამათა და დედა დედუფლად იქცეოდა და ინერგოდა უმჯობესტყე გვე სახსოვარი, მეფეს დროებისა ჩვეულებისა. თითქმის ურდა შეუმჩნიდ იყო უკანასკნელ სწავლებითა მსხვერპლად დროებისა, ოდეს განახლებამან ღუთისმან აღმოაჩინა თავი და

სანატრელო გუამო! მაუწყე, სადა არს ბრწყინვალე იგი მადლ-მოსილი სული შენი? სად დაუტევე ეგი? სად წარგზავნე? ვის არწმუნე? ვის შეჰვედრე? ჴელთა შინა ღმრთისათა! — ჰოი!!, ჴელთა შინა ღმრთისათა? იყავნ ნება უფლისა კურთხეულ უკუნისამდე!

ჰე ჭეშმარიტად! «მართალთა სულნი ჴელთა შინა ღმრთისათა»! ნამდვილი სარწმუნოება არს თქმული ესე წინასწარმეტყუელისამიერ, და ყოვლადვე თჳთ საქმეთა მიერცა შენთა, რომელ განგიმზადებენ რა სულისა შენისათჳს სავანე წმიდათა შინა ზეციერთა, არა დაგიტევებენ უზრუნველად მიწიერიცა სამარ-

იოანე ლუარსაბის ძე თარხან მოურავი განმაახლებელად და განმაშვენიერებელად მონასტრისა ამისა. მან განაახლა წ. ტაძარი, განაშვენიერა, იყო• ყოვლითა სამკაულითა და აწ, სასიხარულოდ ჩუენდა, ისმის უკვე მარადღე ქება და დიდება ღმრთისა, მათთაგან მღმრთელ-მონაზონთა, თუმცა ჯერეთ რიცხვით მცირეთა. თჳთ მანცა ჰსწადდა განატარებინა დღენი ცხოვრებისა თჳსისა სიკუდილამდის ამა მონასტერსა შინა, სადაცა მკჳ-ლებოდა სიყრმიდგან შეყუარებული სარწმუნო მეგობარი თჳსი. ხოლო ამაოდ წარხდა ყოველი განზრახვა გულისა მისისა; სიკუდილი ეწია მას რჩეულს. ხოლოდ გუამმა მისმან მშჳდობით განისვენა განახლებულ მის მიერ მონასტერსა შინა, 1856 წელსა მაისის 5 დღესა, რომლისა დროსა თქმულ არს შეწირვისა სიტყუა ესე, რომელთაცა ჰსწყდის თჳთ მწყრალი მეგობრისაგან მისისა.

ვაი! ვითარ იტყჳან პირი, ნამეტნავისაგან გულისა.

ა. სავანელი.

ღნელი მისა, რ~ჲ წარმოგემართოსვე იგი წიაღთა შინა-
ტაძრისათა, რომელი გჳდისმოდგინებამან შენმან
გამოაგზავნენა საუკუნოობითისა დავიწყებისა და უმე-
ცნობისაგან. ტაძარი ესე განუხსნამს წიაღსა თჳსსა
მიმწუხრსა შენსა. მით უმეტესითა განმზადებულებითა,
რომელი ნამდვილ მართალი და განწმენდილი სული
შენი ჴელთა შინა ღმრთისათა განსუენებულ-არს,
სარწმუნოთ მონათ ქრისტესი! რომელმან ეგე «წინას-
წარ გარდაჩინა და წინასწარ გამოგიჩინა დიდის მეცადი-
შენითგან (მსგავსად სამოელისა). მანვე წინასწარცა
გიწოდა განსასუენებელსა თჳსსა და რომელმან გა-
წმიდა, მანვე განგამართლა, და რომელმან განგამარ-
თლა, მანვე გადიდა სათნოებათა მიერ, საცხოვრებ-
მოციქულისა. რამეთუ შენ სანატრელო და საუკუ-
ნოდ სახსენებელო, სიჩჩოთგანვე მოიგე შენ
«მეცროთგანუბად გონიერება, და ასაკად სიბერისად
ცხოვრება უბიწო; და არა აღუშალე ბიწსა რასამე
თავსა მისის შენსა ულახავად, ვინადგან დამტკიცებულ
იყავ სიყრმითგანვე შეურყეველსა კლდესა ზედა
წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისასა; და ვითარ-
ცა ზეთის ხილი ნაყოფიერი დანერგულ-იყავ ბჳნე-
ოითსა მისსა ზედა ქველი-მსახურებისასა; იწურთოდი
სიყუარულსა უფლისასა დღე და ღამე, და იწყუფცობდი
ცრემლითა შენითა ნაკადულითა, განმოსცემდი ნაყო-
ფად ზეთისა წყალობისასა ყოველთა მიმართ მოქუ-
ნეთა, მით რამეთუ, ტაძართა შინა ღმრთისა შენთასა
სხდომებულ ბრწყინვალენი იგი ხსნადნი მამისა შენისა
ღმრთისმსახურებისა მეფისანი!

შენ დაფარულო მონანო ქრისტესო? დადადეუ აქამომდე მაკრძალულებდი მე საყუარელითა წვრილებითა შენითა დაფარვისა საიდუმლოთა საქმეთა შენთასა, აწ სადამე მომეც ნება სარწმუნოსა, გარსა უდაბნოსა მეგობარსა შენსა, რათა საანუმონ ვიყუჩე დაფარულნი სათნოებანი შენნი, სადიდებელად მეუფისა შენისა, ვინადგან ყურადარი იტევს მათ შეწყრებული და მოწყალებული გული ჩუენი ვხედავ რა ჯფუფად მდებარესა; ვაჲ ჩემდა! რა ვსთქუა და რასა ვიტყოდე უძლურითა ენითა ჩემითა. და რომელი, და რაბამი სათნოება და სიკეთე შენი განვაცხადო? სიყუარულსა დმერთისა თუ მოყუსისა? სიმდაბლე შენი თუ სიმშვიდე? დიდ-სულობა, ქველის-საქმე თუ სიმართლე? მოდუწყებიბა, მმარხულობა თუ სიწმიდე ანუ თუ შეუწყნიერნი ზრდილობანი და უთუა ქცევანი შენნი! ამათ საქებელთა საქმეთა მიერ შემკულმან, ადიდე შენ ზეფარი ესე შენ სიურმითვანგე შენით და შეუდგე ქრისტესა სატრფიალოსა შენსა მზრძანებელსა ამისსა, და დირსად აჩინე თავი შენი მონებასა შინა მისსა.

შენ აღსრულდა კრინდა სასომსა ჭეშმარიტისა მონაზონებითისა დაწესებისა, მრჩობისა რანა ანბაურებითისა მწყაზლისასა, თვით ურმოვანით მასაველი განმკაცელდი შენ თავსა შენსა ილუმალ მარხვით მიეუ, სადაცა მნელ-იყო დაფარვა მისი, სასწავლებელსა კორპუსსა შინა სატახტოსა ქალაქისასა, სამეუფოდ ახუულთა თანასამოსწავლეთა შენთა, დღეთა შინა მარხუათასა, ოდესცა იწურებდნენ იგინი სანოვაგეთა

სახსნილოთა, ჴმა უყოფდი თავსა შენსა ლიტონად ოდენ შჯულითა; გარნა მგრეთ კულოვნებით ჰყარულდა ძალულებასა ამას, რომელ მკვიდრა შემდგომად რაოდენთამე წელთა ცნობილ-იქმნა მათდა მმარხუე-ლობა ესე შენი, რამეთუ მანცა მისცა მათ მიზეზი სახელ-ნართაულობით წოდება შენი მონაზად.

შენ შეუძლებელიცა ქმნიდა შესაძლებელ-ჰყავ, ოჰთა უფალთა სარწმუნოებით მონებდა! რბიოდიან ვითარცა გამოცდილი მხედარნი, მრჩობლსა სარბიელსა შინა, ზეციერისა დ̃ ქუეყნიერისა; აღასრულებდიან მონებასა ზეციერისა უფლისასა, დამე ყოვლ ჰამ განჰყრობით ლოცვათა, ვედრებითა, მუხლთა დრეკითა დ̃ ცრემლთა დენითა: ხოლო დღისით მონებასა ქუეყნიერისა უფლისასა; სამხედროთა მსახურებითა, სიმჴნითა სიუხჳარულითა, ერთგულებითა, მორჩილებითა, დ̃ შენდა რწმუნებულთა მკვდრობათა ქვეითელად წარმატებითა, განკაზმულებითა დ̃ განგარგულებითა მათითა; დ̃ ამით მისცემდი სათნადოსა, კეისრისასა კეისარსა, დ̃ ღმრთისასა ღმერთსა, რომლისათჳს მრჩობლნიცა გჳრგჳნნი მოიხუჭნნ შენ მრჩობლთა უფალთა შენთაგან; ესე იგი, ღმრთისაგან განსვენება კეთილთა შინა მისთა მართლისა სჯულისა შენისა; ხოლო კეისრისგან ქებანი, მადლობანი, ნიშნი დ̃ საკეთოვანნი ესე აქამდებარენი ნიშნი, სიმჴნისა, სიმართლისა დ̃ უბიწოდ მსახურებისა შენისანი!

ვითქუა ამათსა უძღრესი დ̃ უსრულესი დ̃ კრძა-ლულება მხნისა სჯულისა შენისა; შენ კაცმან, ჴორ-ცთა შინა მყოფმან, საცთურნისა სოფლისა ამას

შინა მქცევმან, მორწყუ-მჭურნიერმან ჯაბუკმან, სამკუ-
დროსა დჳასწლსა შინა შეუოთუელმან, ადიდე მჯრი ქარწულ-მახარებელისა მოსახელისა შენისა, და გმის-ცოდლეთა მისთაგან წჳრთნილმან, მდუღარებასა ჴასაკისასა, და მმღავრებასა ბუნებისასა აღვირ-ასხენ, ვითარცა ბრძენმან კედლოვანმან. დჳასწლისა სცადოონსა შინა ჴსჯულიერად მსჭრბოლმან, დაამონე სულსა კორცი, და დაიცევ გჳამი ესე შენი ქალწულებით და უბიწოდ! ვაშა სიმხნესა შენსა, ვაშა დიდ-სულობასა შენსა, და ვაშა დჳთის-მომშებასა შენსა!» მონათა საწმუნოთა, შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა!

და ძჳალად რაღა ვთხზჳა ქველის-მოქმედებისა შენისათჳს? თჳთ ესე წმინდა ტაძარი, შენ მიერ საუფლოჲლითგან განახლებული დადგენს კმა მაღლად დიდსა ქველის-მოქმედებასა შენსა, რომლისა მალიად სრულ-ყოფისა მასწრაფებდი მე, და მავრძალებდი არა განცხადებასა სახელისა შენისასა მოქმედად ამისა. ხოლო მე მცნებისა მკაცრიად დამცეველისა, არათუ უცხოსა ვისთჳსმე განმიცხადებიეს მათ თჳს, აჰა აქა მდგომარებენ იგინი შენთანა, მკოდებელნი და ცრემლთა მიდინებელნი, და მამხილონ მე; რომლისათჳსცა ვიეთთამე ამათთა და ბოროტეოვანთა კაცთა სხჳავერ ეოცნათ, ქველის მოქმედება ესე შენი, სხჳათაგან ქმნილად, და სიჳავერ განჭჳსთქჳს ერთა შორის, და ნაცვლად შეწევნისა, ნაცილით მაბრკოლებდეს საქმისა ამის მალიად აღსრულებასა, და ამისაგამო ვერ შევძლე მე

წადილისამებრ შენისა მოსწრაფედ აღსრულდებიან, რომლისათჳსცა ვითხოვ შენგან შენდობასა.

აჰა აწ აღსრულებულ-არს, ოც და ათის წლის წინათ განზრახული ჩემთანა სამეუფოსა ქალაქსა შინა რომისასა, ღუთის-სათნო ესე საწადელი და განზრახვა შენი. აწ მოვედ და იხილე თუალითა შენითა, შენ მიერ განახლებული ტაძარი ესე სახლისა შენისა ყოვლად-წმინდისა ღუთისა დედისა, თუ ვითარ სათნოდ აღგიჩნდების შენ. მოვედ მგოდენთა წელთა ჩრდილოდ მმწირობა, შენსა ამას სამკჳდრებელსა, და მოიკითხე წმინდა ესე ეკკლესია, მზგავსად სიონისა შენისა წმინდისა ოქროპირისა და ჰრქუ, «მშჳდობა ეკკლესიასა»! ოჰ! სდუმ სანატრელო და არარას იტყჳ? ვაჲმე, ვაჲმე; ჰგავს საუკუნოდ დადუმებულ-არს დაუცხრომელად მეუსაღმურე ენა ეგე შენი, და დაშრეტილ-არიან ბრწყინვალენი თუალნი შენნი და ვერ განიცდიან შუენიერებასა ამის ტაძრისასა! აჰა, მივიწოდს და შევიწყნარებს წმინდა ესე ეკკლესია და გიხმობს: მოვედ, მოვედ მოყუარეო ჩემო; მოვედ ქუელის-მოქმედო ჩემო; მოვედ მადიდებელო, განმაახლებელო და განმაბრწყინვებელო ჩემო; მოვედ წმინდასა ემბაზსა შინა ჩემსა აღმოშობილო შჳლო ჩემო, მოვედ წმინდისა ბეჭდისა ჩემისა აღუხოცელად დამცველო; მოვედ დადუმებულისა საჳსაღმურნისა ჩემისა აღმატყუებელო, მოვედ სა-მოსა სამკაულისა ჩემისა შემმოსველო; მოვედ წმინდათა ხატთა ჩემთა ჩემ მიერის აღმმართუებელო; მოვედ დაცადებულისა საკურთხეველისა ჩემისა

მსხვერპლის შემწირველობისა მიზეზო; მოვედ და განისუენე შრომათა და ღუაწლთა შენთაგან ფრთეთა და საგრილთა ქუეშე ჩემთა: ამიერითგან არღარა დავსცხრე გოდრემდის ვეგო საფუძუელსა ჩემსა ზედა შენთჳს მსხუერპლისა აღვლინებად პირმშოსადმი ეკკლესიისად, ჩემდა მომართ ქმნილსა ამის ქუეყნის მოქმედებისა შენისა წილ!

ესრეთ სანჯმნო-ჰყო თჳთ წმინდამან ამან ეკკლესიამან საიდუმლო ქუეყნის საქმე ესე შენი ღირსო ნეტარებისა, და არა მე! და ვითარ შეუსაძლებელ-იყო მზისა ბრწყინუალებისა ხჳმარისა ქუეშე დაფარვა, და ესოდენ ცხადისა საქმისა შენისა დადუმება, რომელიცა გეწადა შენ სიმდაბლისა და სათნოებისა შენისაგამო? და ვითარ დავარდებოდა სიტყუა ესე წმინდისა სახარებისა; «არა არს დაფარული რომელი არა გამოცხადნეს». მიხედენ წმინდასა ამას ტაძარსა, არა შენ მიერ განშუენებულ-არსა ოქროვანთა ამათ სამკაულთაგან? არა შენ მიერ წარმოვლენილ-არიან რომლისათ წმინდანი ესე ტაძარნი ძვირფასად მოოჭვილნი, რომელთა ზედა გამოხატულ არიან მამულისა შენისა ყოველნი წმინდანი მნათობნი საქართუელოჲსანი, საოხად შენდა სასონი შენნი? არა შენ მიერ განშრობილ-არსა წმინდა ესე იატაკი, წვიმათა ღუართა დენისაგან დალტობილი, რომელსა ზედა დაიწვენენ წმინდანი მოწამენი უსჯულოსა დანგთემურისაგან? არა შენ ხარა მიზეზი აქ მარადდე ქებისა-მეტყუელებისა ღუთისა? არამედ წმინდისა ამის ტაძრისა თჳთ ქვანიცა დაღადებენ დაფარულსა

ამას ქჳელის-მოქმედებასა შენსა, და მე ვითარ შემ-
ძლო დავარჩო ესოდენ საჩინოსა და საღმრთოსა ამის
საქმისა შენისა? რომლისა ნაცვლად ჰპოე, რასა
იგი ეძიებდი სიყრმით შენითგან, და მიემთხჳე მას,
რაცა იგი გსუროდა; ესე იგი, უხრწნელად
წარდგომასა წინაშე საშინელისა საყდრისა, და შე-
ვედრება მართლისა მაგის სულისა შენისა ჴელთა
შინა ღმრთისათა!

ხოლო მე რა ვყო აწ უღონომან ამან შენგან
მოკლებულმან? რა ესე მიყავ უცნობთაგანცა საყუა-
რელო! მე აქამომდე მომლოდებელი ბედნიერებით
მოსლვისა შენისა განვემზადებოდი სიხარულით და
დღესასწაულობით მიგებებად შენდა; ხოლო აწ
გოდებით და ცრემლით შევემთხჳევი ვერრო ქალა-
ქით უსულოდ მოდებულსა გჳამსა შენსა! მე
თხოვისამებრ შენისა გიმზადებდი შჳენიერად შემ-
კობილსა სენაკსა, და შენ მაიმულე აწ ბნელსა
საკანსა შემწყჳდევა შენი! მე მოველოდი ქჳელის-
მოქმედთა ჴელთა შენთაგან დაფლჳასა, და აწ უწყა-
ლონი და უღირსნი ჴელნი ესე ჩემნი დაგფლჳენ
შენ! ვაჲ ჩემდა! ესე იყო ჩჳენ შორის საწყოოსა
ამას შინა ვიდრე სიკჳდილამდე ზოგად ცოვლებისა
შეთქმულობა და პირობა? რა ესე ჰყავ სანატრელო,
შენ აღფრინდი კორცხელი, ეჴე ენგელოსი
უკორცთა ანგელოსთა თანა დიდების-მეტყჳელებად
ღმრთისა. ხოლო სიბერე ჩემი ცოცხალ-მკუდარი
მთაიყჳანე ვიდრე ჯოჯოხეთამდე სავალალოდ და
საგოდებელად თავისა ჩემისა დაკარგვისათჳს შენისა!

აწ ვინდა იღუწიდეს და აშენებდეს სავანესა ამას შენსა? შენ არღარა ხარ ქუეყანასა ზედა, და ჩემ შორისცა დაცხრომილ და განქარვებულ-არს ყოვე-ლი ძალი, გულს მოდგინებად და სურვილი შენებისა მისისა, ვინადგან მოვკუჳდ მეცა შენთანა! ვინ! ვინდა განამძლიერებდეს და განამჴნობდეს სიტყჳთ თუ საქმით უძლურებასა და სიგლახაკესა ჩემსა შენობასა მისსა ზედა? ვინდა ნუგეშინისცემს სულ-მოკლეობასა ჩემსა სანუგეშოთა აღთქმითა და წერილებითა? ვინ გამოზრდიდეს მწირსა და უნაყო-ფოსა ღუაზნოსა ამას შინა დამკჳდრებულთა გლახაკთა მონოზონთა. მლოცველთა და მომხსენებელთა შენთა? ანუ ვინ შემოსდეს შიშლოებასა მათსა და მოწყალე-ბით კელსა აღუპყრობდეს? არა ვინ არს! არავინ უვის შემდგომად შენსა ესრეთ მობაძავი კეთილ-შო-ბილისა სულისა შენისა, და დაშთომილ-არს მონას-ტერი ესე თჳნიერ ყოვლისა შეწევნისა და ნუგეშინის-ცემისა. გარნა ვესავ მე წყალობასა ღმრთისასა, რო-მელ ლოცვითა და შუამდგომელობითა სასოსა შენისა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობლისა მიმართ, არა მოაკლდეს ამის სავანისა მისისა საფქვილესა ფქვილი და საზეთესა ზეთი უკუნისამდე!

ხოლო მე შენგან მარტოდ დატევებული, სულო ქრისტეს მოყუარეო? სიყრმით შენითგან შეყუარე-ბული, არა ღირსი შენისა მეგობრობისა, არა სა-და განვეშორო განწმენდილსა ამას გუამსა შენსა, და არა დაუტეო ესე მარტოდ, (უკეთუ იქმნების ესე დამოკიდებულ ნებასა ჩემსა ზედა), არამედ ვიდრე

უკანასკნელ აღმოუფშვინეალ ჩემდამე დავადგრე და-რნავსა შენსა ზედა და ცრემლთა მაწკურებელ მისი, გიგალობდე შენ საუჯროლსა ამას შენსა ფსალმუნსა «ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან სჯულსა უფლისასა,» და დასასრულ დავულა მახლობელ სამარხოსა შენისა ჴელთა მიერ შესაჭმელი მმორი ჩემი, რათამცა აქა სახლობელობითა მაცი-ოსანისა გუამისა შენისათა, ლოცვითა და მეოხებითა შენითა მივემთხვიო სულითაცა მახლობელ ყოფასა ზეციერისა სავანისა შენისასა!

და შენ ყოვლად-სახიერო და კაცთ-მოყუარეო ღმერთო? სული წინამდებარისა ამის გვამისა საოხოსა და რჩეულისა მონისა შენისა, რომელიცა მისცუალე საწუთოსა ამის სოფლისაგან ჴელსა შენთა შეავედრე აღთქმისამებრ შენისა, და აღრაცხე იგი წმიდათა ანგელოზთა მწყობრთა შორის, და ყოველთა წმიდათა და მართალთა თანა, ადგილსა ნათლისასა, ადგილსა განსუენებისასა, სადაცა ყოველნი წმიდანი დამკჳდრებულ-არიან, რათა ხედვიდეს მარადის დიდებასა შენსა დაუსრულებელსა მას ნეტარებასა შინა, და საუკუნოდ იყავ ხსენება მისი, ამინ.

ა. ტ.

# სალაყბოს ფურცელი.

---

ლაყბობის წოდების განმეორება, ისე-თით.— მწოდებელის პასუხის გება.— წინა-აღმდეგის წინა-აღმდეგობა.— ავტო-რი და არა ავტორი.— ქართველთ თჳსების განმეორება.— იტალიანური ენა და მისი უქ-მობა ქართველთათჳს.— მიზეზი ქართულის ლიტერატურის სიმდაბლისა.— მოლაყბის ნავარდობა სალაყბოს მეიდანზე.—

---

ტყუილათ კი არ არის ქართულათ ნათქვამი »რაც მგელმან ცხვარს დააკლო, რაც არა მწყემსმა უარესი ქნაო« — ერთი ესდა მაკლდა! ჩემს საზოგადოებას ვუჩიოდი ჩემს შესარცხვენილს სახელის წოდებისა-თჳს, ჩემ წინა-აღმდეგობისა-თჳს და, არა თუ მხო-ლოდ ტფილისში, როგორც საქმითგანა სჩანს, გადაკარგულს, გადაქაჯულს, ერთის სიტყვით, ეშმა-კმა იცის რომელს ქვეყნის კუთხეში გამოჩენილან

ჩემნი უკან მსდევნელნი! — ვნახოთ დღევის ამას იქით ახლა საიდგან დამიწყებენ ჩინებულის წოდებას განმეორებასა «მოლაყბევ!... მოლაყბისადმი!... უჯა-ლო მოლაყბეო, პატივ-ცემულო მოლაყბევ!» თქვენ კურთხეულნო რომელნიცა მამდევთ ამ გვარს ხარი-სხსა, ამას მაინც როგორ არა ჰფიქრობთ, რომ თუ მოლაყბედ მსახავთ მართლად, ეს რადა არის?!! მაგრამ არა, ქართულური მოგვდის ყოველიფერი, წინ დაუხვდავნი ვართ...«პატივცემულო მოლაყბევ!».. ისე სიცოცხლით გამიმდევით, როგორც კარგი პატივის-ცემა გახლავსთ, «მოლაყბე» განკვრებითის ნიშნითურთ!... ქართულის ენის-მოყვარე ქართველი ცხადად მიხვდება, რომ მე ვლაპარაკობ იმ სტატი-აზე, რომელიცა იყო დაბეჭდილი «ცისკრის« მეათე ნომერში, უ. ბერიძისა-გან, რომლითაცა ვიყავ გვარიანად შემკობილი ჩემის ლაყბობისა-თჳს... ახიც არის... ათასჯერ კი ახი ათასჯერ ახი: არა, რომელს ესმის ჩემი ლაპარაკი? ჩემი საუბარი, როგორცა ჰსჩანს, ქართველთათჳს, რასაკჳრველია იმ გვარით ქართველთა-თჳს, რომელნიცა ემზგავსებიან უჯალო ბერიძეებთ, (*) გაუგონარია, სწორეთ იტალიანურს ენას ემზგავსება; იმ ენას კი იმ დუ-დუკზე სიმღერას, რომლითაცა ვართ აღტაცებაში, მაიმუნების მზგავსად, დავგვიდის პირი, შეჰყურებთ თითქოს გვესმოდეს რამე კი, სრულებით-არა თუ

(*) საზოგადოდ რომ ვთქო, იწყებ. მეტი გზა არ არის, ისევე ნება არ უნდა მივცე კალამსა.(?)

გვესმის, გაგვიგიაც არა გვაქვს!.., რაში სჩანს თუ ღმერთი გრწამსთ გაგვეცა? უ. ბერიძის სტატიის პირველსავე დაწყებაში იმისთანა რაღაებიც გამოუ-ყვანია რომ, სწორედ მოგახსენოთ არ არის მოსა-თმენი! აბა რა მოსათმენია თუ ღმერთი გრწამსთ, რომ სოკრატის მზგავსად ასულდა» მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ტ ა ხ ტ ს ა ზ ე დ ა და ი ქ ი დ ა ნ ვ ი თ ა რ ც ა მ ო წ ა ფ ი ს ა თ ჳ ს ი ს ა დ მ ი ა ღ ი მ ა ღ ლ ე ბ ს ი გ ი ხ მ ა ს ა თ ჳ ს ს ა და შ ე მ ა ს წ ა ვ ე ბ ს ს ხ ჳ ა და ს ხ ჳ ა თ ა დ ი დ თ ა ს ა გ ა ნ თ ა მ ნ ი შ ვ-ნ ე ლ ო ბ ა ს ა(?) ამ სახით: «ვიწყოთ იქიდამ, რომ ყოველი საგანი, რასაც უნდა არ შეიცავდეს იგი თჳს შორის, ითხოვს განრჩევას ანუ განხილვას თჳთოეულად.... თქუენი მტერი დამარჩეს ამ სიტ-ყვებმა» მაყამსა შინა, თჳს-შორის, იგი.» საკვირ-ველია ჭეშმარიტად რომ, ხსენება კი შეგვიძლიან ამ გვარ სახელებისა «ლაბირინტი, ვირტუოზი, ზევსი, პლუტონი და სხ.» ვახსენებთ სხჳათა ენის ხალხთა უპირველესთა მწერალთა და აქამომდე ის კი არ ვიცით, რომ ყოველნი განათლებულნი ხალ-ხნი იმასა ცდილობენ დაწერონ ყოველთათჳს გასაგონს ენაზედ. ტყვილათ კი არა სთქჳს «ცისკრის» მეოთხე ნომერში უ. ნოტა-ბენემ «ჯერ ჩუენი ერთის წლის ჟურნალი ვერ იტანს ამ გვარს სახელებსათ: პროტოკოლი და სხ. ეს ვისაც ესმოდა, (მაგრამ მგონია უჳ, ბერიძემ ესეც ვერ შეიტყო, ეს ბნელი იმისი ჭკუისა-თჳს აზრი!) საზოგადოდ ჩუენ გვეუბნებოდა, მართლათაც

გვიწერდა. ამისათჳს რომ ჯერ ჩუენნი გონება აქა-
მდის ვერ მისულა, ჯერ პირველად იმას უნდა
ვეცადნეთ, რომ ჩამოვაგდოთ სიყუარული ჩუენში,
სამშობლოს ენისა, სიყუარულის ჩამოვარდნაც
მხოლოდ შეიძლება, დავწეროთ იმ ენით, იმ ადგილს
საგანზე რომ ყოველთათჳს გასაგონი იყოს და ყო-
ველთათჳს სასიამოვნო, რადგან აქამდის არ ვიცით,
ამ გვარნი უცნაურნი სახელნი მკითხველთ დააშინებენ.
მაგრამ არა, ღმერთმან დაგვიფაროს რომ ჩუენ
გავტყდეთ, მეტადრე ძველებურნი ქართველნი.
სულ ის ძველებური «იგი და მასჳამსა შინა» გვი-
ყვარს, ამ გვარს ლექსებს შევტრფით!.., უფ. ბე-
რიმე გვაყვედრის, რომ გესაუბრებით საყვარელნო
მკითხველნო, ქართულის ენის სიყვარულზე, ჩუენის
წარმატების მეცადინეობაზე, ჩუენის მამულის ფასის
დადებაზე!!! ახ საკჳრველებაო! განა ამ დღესაც
შეყვესწარი რომ ვნახე კაცი, ნამდვილი კაცი და
არა ტყვილი. ამისათჳს რომ იქნება სხუათა ქვეყა-
ნაში გაგვკიცხონ, როგორ შეიძლება ამისთანა
კაცი იყოს, რომელიც იმახლეს თუ ღმერთი გრწამთ,
ნურას ენას, ნურც მამულს, ნურც ზნეობას ახსენებ,
მხოლოდ ერთს ტეატრზე ილაპარაკე და შეგვაქციეო,
ფაფუოთ მოლაყბეს მოჩვენება რამ მოლანდებიაო,
რომელიცა იქადაგებს უმეტესად ცუდის თჳსებას
შემოტანასა ჩუენში,—ასე რომ ერთი ოდენ შე-
ვაქციოთ ხოლმე მისი ფილოსოფიური გონიერება
ტეატრებით, აკტრისებით, აკტიორებით.—მოვახსე-
ნოთ, რომ ესა და ეს აკტრისა მეტად ლამაზია,

ჩანჭებულად მღერობს, ესე მღერობს რომ, მისის გარემოის ხოჯასაც კი მოიზიდავს!... გმადლობთ ჯავრის ფეხზედ დამყენებელო! ოხერის მხარის განმანათლებელო!... ახლა ამაზედ არის ნათქვამი გაწვრთნილის კრილოვისაგან. ერთი კაცი შევიდა თურმე სხვა და სხვა პირუტყვთ გასაშინჯავათ დიდს დარბაზში, სადაც განწყობ ხალხთა საჩვენებლად შეეწყუდიათ, და რომ გამოვიდა პირუტყვთა მნახველი კაცი, ჰკითხეს მეგობართა, რა ნახეო! მაშინ მიუგო, ყოვლისფერი ვნახე, ჭინჭველა, ფუტკარი, ბუზი, ცხრაფეხა, და რა უნდა დაუსრულებინა, მიატანეს მეგობართა: სპილოცა ნახეო?... მაშინ მიუგო, აი საკვირველი, მაგ პირუტყვისათვის თვალი არ მომიკრავსო?» ეს უნდა ვსთქვათ, რომ იმ პირუტყვებში სპილო პირველს როლსა თამაშობდა, ასე რომ ყოველი პირუტყვზე თავს ის იყო ამართული! სწორედ ეს, ბერიძეც ასე მოსვლია, უპირველეს საგნისათვის კი თავი დაუნებებია და წვრილმან საქმეს გამოსდგომია, — მაგრამ გონია უფრო აქტრისების სიახლით მოსვლია, — ამედას რაც აგონდებოდა, ის ყველ [illegible]» არის ქართული ანდაზა... [illegible] მოწყერს, რომ [illegible] ქველითა ბერძენთა ვერ ადუღებენით ენა, რომელიც და ც ქართულის, ჩვენს ენასაც ყურადღება არ უნდა მოვაცლოთ და თუ მივცეთ ყურადღება არა შეჩვევ[illegible], ამამავ წყნარად, ხვეწნით, თხოვნით, მოგონებით, ღვთან იმასაც, იმ უფალს ოხერის განმანათლებელს და ვიხოვოთ მოწყენებიანე [illegible]

წყაროსავით, შემწყობა ენისა, რომელიცა შენისავე წყალობით დაცემულია! ასე წყალობით რომ ყოვე-ლისავე საგნისა აღუწევება მდგომარეობის ღონისძი-ებაზე, აგი ბერძენთა, რომელთაცა აძლევენ, სხვა და სხვა მტერთაგან მგვლად ღონისძიება რომ მე-აკლდათ, დაეცა!... უ. ბერძენსა ჰგონია, მარტო იმისას მოაცონ ფილოსოფოსის კალმის ჩხავა აააყენებს დაცემულს ლიტერატურასა. შეცდავთ კი ნუ კრიმინები იმასთან და, ამდენი ქვეყანაწყობა წიგნები გვაქვს ჩვენ ქართველებსაცა, რომ მეგვე-ძლიან გაზრდით ქიდილი, აბა რომელმა ბერძენმა მიიღო შრომა დაბეჭდილისა. განა რომ შეძლება უნდოდა? განა რომ შეძლებაცა წარმომადგენს სა-ზოგადოების შემწეობით?... მეგზური «ცისკრის» რედაქტორს თავის რედაქციაში განცხადება და ვკითხე: უფ. ბერძენ, რომლის სტატიის დაბეჭდვაზე ვარ დიდად მადლობელი, რადგანაც სულ არარაობას დაუ-წერია რამე მაინც მეთქი თავის ენაზე, იწერს თუ არა «ცისკარსა» მეთქი. რედაქტორმა დამარწმუნა, რომ მთელს ოსეთის ოკრუგში იწერს მხოლოდ ერთიო, და მაგვარის გვარსა ჩვენი ყელის მომწე-რთა სია არა სცნობსო! მე გავოცდი! ამისათვის რომ ვკვირობდა, რატომ კარჩობდი თავსა და გულგრილად არ უყურებდი ბერძენთ მზგავსთა შრომა, რომელნიცა მხოლოდ დაპარაკობენ სიცრუით დასმარებაზე, და ღონისძიება თუნდა ჰაერში დაიჭირე, იმათთვის სულ ერთია!... აფერიმ ბერძენე! აფერიმ! იმედია! ღმერთმან გაგიმარჯოს მაგისთანის საქმისათვის.

საჭირო აღარ არის გამოუდგე უ. ზურიმის სტა-
ტიას, ამისათჳს რომ მკითხველი კარგათ ხედავს
საქმეს!... უკეთესი მაგალითი გვიძევს წინა. იანვრის
ნომერში დაგვიბეჭდა ეგ. რედაქტორმა «ცისკრი-
სამ.» ბევრნი კარგნი პირნი დაგვხმარებიან შემწე-
ობასა, უმეტესად ერთი კარგი მცოდნე, განათლე-
ბული და თუ გნებავსთ უპირველესი ქართველთ
ლიტერატორი(?)... მეტს ქებას ეს მოაქჳს!...
ახლა, რაც მოუხდენა რედაქტორს; მაგრამ რას
ვაპირობთ, მარტო რედაქტორს,—იმისი დაკლება
ჩუენია. ასე რომ არ ექო, არ დაემართებოდა ის,
რაც გამოგვიცხადა «ცისკრის» მეათე ნომერში
განცხადებით; ჭკვიანობენ რისთჳს ვირჩობდი თავსა!
ჭკვიანობდენ რასათჳს ყოველსავე ჩუენს თჳსებას
არ შეუფერებ გულგრილად!... თუ ღმერთი გრწამსთ,
რომელი კაცი უნდა იყოს, რომ გულგრილად
უყურებდეს ამისთანას საშინელებას: პატიოსანი
კაცი, ამღვრევს პირობას შემწეობისას, კეთილს საქ-
მესა, შეშლილობს რა გამოდის დრო, ხურნა პირში
და ლოდი გვერდზედ გაჭყლეტის ლოხიკულთზე, ვითომც
მოსულა კალია და ხრჭოლებით დაუნიავებია ჩუენის
საზოგადოების საწყისში!... რასაკჳრველია, რომ
კაცსა ეს ბოროტება ეჩვენოს საზიზღრად და ამ-
ჟობინოს თავის ლარჩობა, ეგება აღარ უყუროს
შაიძლო ამ საშინელებასა!... მართალია, ქალაქისა
საუბარიც კარგია: უმეტესად სხუათა მხარეს მყო-
ფთათჳს, ანუ რა და რა მოხვდება ხოლმე ტფილი-
სშა, ანუ რა წიგნი გამოდის ახალი, (ქართული

წიგნების რომ იბეჭდება!) რა და რა მასხარები მოდიან, განა მაიმუნები, კინაღამც გაგვაკვირონ, ესე ყოველი მაშინ არის საჭირო, როდესაც უპირველესი საგნები წინ არ გვიდოს, კურთხეულნო, ჯერ ის ვეცადნეთ, რომ მკითხველნი განვამრავლოთ, რომელთაცა შეეძლოთ კითხვა ჩვენის კალმის გამონაცემისა, შემდგომს რაკი გამრავლდებიან ყოველი ადვილად შეიძლება, განა წვრილმანებს კი არა აქუსთ თავისი ღირსება!.. თუკი ტყუილათ დასწერ და არავინ წაიკითხავს, რაში აქნევ შრომას. უ. ბერიძეს სამწუხაროდ ჩვენდა უნდა ვსთქვათ, რომ ტყუილათ დაუკარგავს დრო, ქართულის ენის შემწეობა უნდოდა, ქართულს ენას ტყუილათ ნუ შეეწევა, ამისთჳს რომ მრავალნი თხზულებანი არიან ქართულს ენაზედ დაუბეჭდავნი, დახმარებოდა ღონის-ძიებით იმ პირს, რომელიცა ბეჭდავს და ცდილობს განმრავლებასა.—მოეწოდა რამდენიმე კაცის მომწერნი და წარმოდგენდა რედაქციაში, მაშინ არათუ მხოლოდ ერთი და ის პირი, ჩვენ ყოველნი დაუმადლებდით. კიდევ განვიმეორებ, რომ პირველად ენის აღდგინებისათჳს არის ღონის-ძიება, ხოლო შემდგომს რაკი ღონის-ძიებით ზურგს გავიმაგრებთ, წერაც კარგათ შეიძლება, ახლა ყოველთა ნამდვილთ ქართველთა გვმართებს ფიქრი ღონის-ძიებაზე თუ მაშინ წარმატებაში არ შევიდეს ენა და სხვათა არ გადავაჭარბოთ, ის სხვა არის!... საკმაო არის ეს. ზოგზე უპასუხოს, ჩემა საზოგადოებამ, რომელმაცა მიწოდა მოლაყბე, რომლისა წყალობითაცა

ოთხკუთხავ ადგნენ ჩემზედ, და რომლის მეოხებითაც ვნავარდობ სალაყბოს მეიდანზედ. —

მოლაყბე.

სხჳა ჲ სხჳა ანბავი:

სალაყბოს ფურცელი . . . მოლაყბესა.

---

«ცისკარი» 1858 წლისა, გამოიცემა პირველს რიცხვს ყოველის თვისა, წიგნი ჵ წიგნი, ხუთის ფურცლიდამ რვამდის.

---

## ფასი ერთის წლის გამოცემისა:

ქ. ტფილის-ში გაუ-გზავნელად ექვსი მანე-თი თეთრი ფული.

შინ მიწოდებით ანუ სხვა ადგილებში გა-გზავნით: შჳდი მანე-თი თეთრი ფული.

---

## ჴელი მოსწერება:

ქ. ტფილის-ში, ქართულის ჟურნალის «ცის-კრის» რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ბეშქიას, კნჟ. დ. ბებუთოვის სახლში.—

---